ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 7 ოქტომბერი, 2020 №210 (8474) ფასი: 60 თეთრი

გაგი მოსიაშვილი: „ლუკა სირაძეს თავი არ მოუკლავს. ის, შეიძლება, შემთხვევით გადმოვარდნილიყო“

საია ადვოკატს ტყუილში ადანაშაულებს

გვ.5

„ოცნება“ 300 მანქანას 25 მილიონად ყიდულობს

რომან გოცირიძე: „ეს ხელისუფლება ლარს ჩამოანგრევს“

გვ.3



„მთელი ზაფხული ბათუმი ისე მიუშვეს, თითქოს პანდემია საერთოდ არ არსებობდა! ახლაც გაურკვეველ გადაწყვეტილებებს იღებენ“

„ჩვენს სასამართლოებში მიმდინარე პრობლემა ქვეყნის ფარგლებს გასცდა“

ლევან ალაფიშვილი: „2003 წლიდან თითქმის ყველა არჩევნების შედეგი მეტ-ნაკლები დოზით წასულა სასამართლოში. ყველა ხელისუფლების ხელში გაყალბების ლეგიტიმაციის ბერკეტი სწორედ სასამართლო იყო“

გვ.3

ნიკა ჩიტაძე: „იპოდრომის ხალხისთვის გადაცემა ამომრჩევლის ირიბი მოსყიდვაა“

გვ.2

„როცა „ოცნება“ ხალხთან შეხვედრებს ატარებს და მაყურებელს სტადიონზე არ უშვებენ, ეს ორმაგი სტანდარტია“

გვ.4

გიგი უგულავა: „სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი არ გახდება“

გვ.2

შალვა შავგულიძე: „ივანიშვილს მრავალფეროვანი ერთიანობით დავამარცხებთ“

„არსებობს „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერების კორონავირუსით დაინფიცირების გეგმა“

სოსო შატბერაშვილი: „კოვიდ 19-ს გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები მთელ მსოფლიოში იყენებენ“

გვ.4

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ ISO 21001:2018 ხარისხის მართვის სერტიფიკატი მიიღო

გვ.5

ISSN 1987-9385

4 ანრი ოხანაშვილი: „მამუკა ხაზარაძემ და ნაციონალებმა აჩუქონ რამე ქვეყანას“

2 მიხეილ რამიშვილი: „ბაჩალიაშვილის საქმიდან ჩამოშორება გადავწყვიტე, მაგრამ, ოჯახის თხოვნით, ისევ დავბრუნდი“

5 სასაზღვრო პოლიციელი, 53 წლის დ.ქ., დედოფლისწყაროში დაჭრეს

დააკავეს 33 წლის მამაკაცი

6 ბიშკეკში დემონსტრანტებმა მთავრობის შენობა დაიკავეს

ცესკომ არჩევნების შედეგები ბათილად ცნო

ნიკა ჩიტაძე: „იპოდრომის ხალხისთვის გადაცემა ამომრჩევლის ირიბი მოსყიდვაა“

„როცა „ოცნება“ ხალხთან შეხვედრებს ატარებს და მაყურებელს სტადიონზე არ უშვებენ, ეს ორმაგი სტანდარტია“

იაგო ნაცვლიშვილი

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ მის საკუთრებაში არსებულ იპოდრომს ხალხს დაუბრუნებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც არჩევნებამდე ერთი თვეც არ არის დარჩენილი. პოლიტიკურმა პარტიებმა ეს ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტად შეაფასეს.

არის თუ არა ეს ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტი და პირდაპირი მოსყიდვაა თუ ირიბი? გამოიყენებს თუ არა „ოცნება“ ამას წინასაარჩევნო კამპანიაში? რას გვეუბნება ხელისუფლება ოპოზიციის აქტივისტების დაკავებებით აქციაზე და გვაქვს თუ არა შერჩევითობა კორონავირუსთან დაკავშირებით, როდესაც არ იზღუდება პოლიტიკური აქციები, მაგრამ, უეფას ნებართვის მიუხედავად, სტადიონზე მაყურებლის 30%-ს მაინც არ უშვებენ? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს.

– როგორც ცნობილი გახდა, ბიძინა ივანიშვილი ქართველ ხალხს უთმობს იპოდრომის ტერიტორიას. ეს ხდება მაშინ, როდესაც არჩევნებამდე ერთი თვეც აღარ არის დარჩენილი. ეს უნდა მივიღოთ თუ არა ამომრჩევლის მოსყიდვის პირდაპირ ან ირიბ ფაქტად?

– ჩემი აზრით, უფრო ირიბ ფაქტად შეიძლება გავიგოთ ეს, იმიტომ, რომ შესაძლებელია, ხალხს გადასცენ იპოდრომის ტერიტორია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ალბათ, პირდაპირ ვერ ვიტყვით, რომ ეს ამომრჩევლის მოსყიდვაა. მაგრამ ისმის კითხვა: დღეს რატომ ხდება ისე, რომ მოსახლეობას იპოდრომის ტერიტორია გადაეცემა სწორედ არჩევნების წინ?!

მე როგორც მახსოვს, წინა ხელისუფლების დროს, ჯერ კიდევ გიგი უგულავა იყო თბილისის მერი, როდესაც ივანიშვილმა ეს ტერიტორია იყიდა, შემდეგ ივანიშვილის ერთი კომპანიიდან მეორე კომპანიის ხელში გადავიდა. არ დაადგა საშველი წლების განმავლობაში იპოდრომის ტერიტორიის რეაბილიტაციას. რაც იყო ძველი იპოდრომი, ის ინფრასტრუქტურაც მოიშალა და სხვა სამუშაოებიც არ ჩატარებულა. მე ახლოს ვცხოვრობ იპოდრომთან და ხშირად მიწევს იქ გავლა.

დღეს, როდესაც ის გადაეცემა ხალხს, ეს ძალიან დაგვიანებული ნაბიჯია და დიდი ხანი დასჭირდა ამას. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ის ბიძინა ივანიშვილმა შეისყიდა. თუმცა დღეს, როგორც მოგეხსენებათ, მას აქვს ძალზე შემცირებული ფუნქციები.

– ამ კითხვას კიდევ ხომ არ ამძაფრებს ის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთის მიყოლებით ივანიშვილს ხოტბას ასხამდნენ, როგორი მეცენატია და, ბევრი სხვა მდიდარი ადამიანისგან განსხვავებით, ქართველ ხალხს ეხმარებაო?

– დიახ, მაგრამ მაშინ თქვან, რატომ დღეს? ვისაც აწყობს დღევანდელი ხელისუფლება, ის, რა თქმა უნდა, იტყვის, რომ ივანიშვილი მეცენატია. ბუნებრივია, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში არსებობს კითხვა: რატომ გადაეცემა იპოდრომის ტერიტორია საქართველოს მოსახლეობას დღეს.

– ამომრჩეველზე ეს იმუშავებს?

– ნაწილობრივ შეიძლება იმუშაოს, მაგრამ მაინცდამაინც რადიკალურ ცვლილებას არ უნდა ველოდოთ. ვინც ივანიშვილის წინააღმდეგია, იტყვის, რატომ გადაეცა ხალხს დღეს, არჩევნების წინ, ხოლო ვინც მომხრეა, იტყვის, რომ ივანიშვილი მეცენატია და აკეთებს საქმეს. მე ასე მგონია, რომ რადიკალურად არ შეცვლის ვითარებას.

– მაშინ, რატომ გააკეთა ეს? ვერ ხვდება ივანიშვილი ამდენს?

– მას აქვს გარკვეული გათვლები, რომ აღნიშნულით, პირველ რიგში, მოისყიდის და მოიგებს იმ ადამიანების გულებს, რომლებსაც ჯერ არ აქვთ გადაწყვეტილი, ვის მისცემენ ხმას. სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვით, მერყევი ამომრჩევლის რაოდენობა 25%-დან 60%-მდე მერყეობს. აქედან გამომდინარე, ივანიშვილს გათვლა აქვს, რომ ამით მერყევი ამომრჩევლის გულს მოიგებს.

– ეს ისეთივე აქციად უნდა ჩავთვალოთ, როგორიც იყო 2018 წელს საბანკო ვალების ჩამოწერა თუ უფრო სხვა ტიპის არის?

– ვალების ჩამოწერამ უფრო დიდი როლი შეასრულა, იმიტომ, რომ იქ უშუალოდ შეეხო 600.000-მდე ადამიანს. თუმცა მერე გაირკვა, რომ არცთუ ისე რეალურად შეეხო, რადგან ზოგს ბანკის მხრიდან უკვე ჰქონდა ვალები ჩამოწერილი, რაც ოფიციალურად დადასტურდა, ანუ ამ შემთხვევაში ამომრჩევლის მოსყიდვაზე გაცილებით ნაკლები თანხა დაიხარჯა. ვალების ჩამოწერის ფაქტი ეუთომ ამომრჩევლის მოსყიდვის მცდელობად მიიჩნია.

– იპოდრომის თემას ასეთი შეფასებები არ მოჰყვება?

– შესაძლებელია, თუმცა ვალების ჩამოწერას უფრო დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, რადგან ის კონკრეტულ ადამიანებს ეხებოდა. იპოდრომის თემა საინტერესოა, მაგრამ იმდენად აქტუალური არ არის, როგორც ვალების.

– ვახსენე მთავრობის წევრების განცხადებები და ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „ოცნების“ საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იპოდრომის თემაც იქნება?

– რასაკვირველია. კამპანიის ნაწილი იქნება და მოსალოდნელია, რომ არჩევნებამდე ამაზე მუდმივად ისაუბრებენ.

– პროცესებს როგორ აფასებთ ქვეყანაში? მაგალითად, ორშაბათს „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრები დააკავეს აქციაზე. მართალია, ისინი გაათავისუფლეს შემდეგ, მაგრამ კალაძემ გუშინ თქვა, არავის მივცემთ უფლებას, თავზე წამოიმხოს ქალაქიო. ეს რას ნიშნავს?

– ბუნებრივია, ეს არის მცდელობა, მიმართული იქითკენ, რომ ოპოზიცია არ გააქტიურდეს, არ იყოს ჩატარებული ისეთი აქციები, რომლებიც ხელისუფლებას არ აწყობს. იგივე მერიასთან ან სახელმწიფო უწყებების სიახლოვეს არ იყოს რადიკალური პროტესტი. კრიტიკა შეიძლება იყოს, მაგრამ არანაირად არ გასცდეს კანონის ჩარჩოებს. ამიტომაც ეს არის ოპოზიციის გარკვეული გაფრთხილება, ჩვენ შეიძლება მივიღოთ გარკვეული ზომებიო და მიიღეს კიდეც. მათ შორის ნაციონალური მოძრაობის აქტივისტიც დააკავეს. თუმცა „ოცნების“ აქტივისტებიც დააკავეს, ესეც უნდა აღვნიშნოთ.

– „ოცნების“ აქტივისტები სად დააკავეს, რომელ აქციას გულისხმობთ?

– ქვემო ქართლის ინციდენტზე ვსაუბრობ, სადაც გირაო გადაახდევინეს. თუ მანამდე ხელისუფლება არავის აკავებდა, იმავე კორცხელის დროს არავის აკავებდა და ფორმალურად ჯარიმა გადაახდევინეს და, პირიქით, მათ ხელი დააფარეს, დღეს უკვე ხელისუფლება ცდილობს წარმოაჩინოს, რომ ჩვენთან კანონის უზენაესობაა და ყველა დაისჯება, ვინც არღვევს კანონს.

– როდესაც კანონის უზენაესობაზე ვსაუბრობთ, ბევრი კითხვა გააჩინა კორონას თემამ, თუნდაც იმან, რომ როცა შეიძლება, „პატრიოტების“ აქცია გაიმართოს, სადაც ვნახეთ დისტანციის დარღვევა, მათ შორის პირბადეების გარეშე და ამ დროს პასუხისმგებლობას ვერ იღებს ფეხბურთის ფედერაცია, რომ მაყურებლის ნაწილი დაუშვას სტადიონზე, ეს არ ქმნის შერჩევითობას? ერთ-ერთმა ფეხბურთელმა დაწერა კიდეც, რომ საქართველოში ბინძური პოლიტიკა უფრო დაწინაურებულია, ვიდრე სპორტი.

– ეს სამწუხაროა, როდესაც არ უშვებენ ხალხს სტადიონზე, მაშინ როდესაც შესაძლებელი იყო მათი შეშვება პირბადეებით, მით უმეტეს უეფამ დართო ნება და ჯერი იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაზე, როდესაც ასეთი გადამწყვეტი მატჩია, როდესაც არსებობს რეალური შანსი, რომ საქართველო გავიდეს ევროპის ჩემპიონატზე.

მეორე მხრივ, ვხედავთ, რომ სხვები არღვევენ კანონს და არ იყენებ პირბადეებს, მათ შორის, როდესაც „ქართული ოცნება“ ატარებს გარკვეულ შეხვედრებს მოსახლეობასთან. ეს მიდგომა ორმაგი სტანდარტია. არ ვიცი, რატომ შეიძლება, არ დაუშვა სტადიონზე მაყურებელი და ნერვიულობდე, რომ მაყურებელი არ დაზარალდეს და კორონავირუსი არ გადაედოს, პოლიტიკური აქტივობის შემთხვევაში კი სხვანაირი დამოკიდებულება გქონდეს.

– ანუ, თუ შეზღუდვებია, ყველაფერზე უნდა ვრცელდებოდეს, ამაზე საუბრობთ?

– ბუნებრივია. მით უმეტეს, სტადიონზე შესაძლებელი იყო ამის გაკეთება და უეფას რეგულაციებით ერთმანეთის გვერდით არ დასხდებოდნენ მაყურებლები. „დინამო არენის“ მხოლოდ 30% უნდა შევსებულიყო, რაც დაახლოებით 16.000-მდე მაყურებელს ნიშნავს. შეიძლებოდა ისე განთავსება, რომ ვირუსის გადაცემის რისკი არ ყოფილიყო.

– თუნდაც 10.000 მაყურებელიც რომ დაეშვათ, ესეც რაღაცას ნიშნავდა ჩვენი ნაკრებისთვის.

– კი, რა თქმა უნდა. დღეს განსაკუთრებით სჭირდებათ მხარდაჭერა, იმიტომ, რომ რეალური შანსი არსებობს, ევროპის ჩემპიონატზე გავიდეთ. აქედან გამომდინარე, არა მგონია, ასეთი მიდგომა კარგი იყოს.

შალვა შავგულიძე: „ივანიშვილს მრავალფეროვანი ერთიანობით დავამარცხებთ“

მთაწმინდისა და კრწანისის ოლქში „ევროპული საქართველოს“ კანდიდატ შალვა შავგულიძის განცხადებით, უნდა დასრულდეს ერთპარტიული და ერთპიროვნული მმართველობა და ის კოალიციურმა მთავრობამ უნდა ჩაანაცვლოს, რომლის მოთხოვნაც საზოგადოებაშია. როგორც შავგულიძემ აღნიშნა, სწორედ კოალიციურ მთავრობას, მრავალფეროვან ერთიანობას შეუძლია მოუტანოს ქვეყანას გარდამტეხი ცვლილებები.

– მადლობას ვუხდი „ევროპულ საქართველოს“ პარტნიორობისა და შესაძლებლობისათვის. მოხარული ვარ, რომ ამ კვალიფიციურ და ჭეშმარიტად ქვეყნის მოყვარულ გუნდთან ერთად მომეცა შესაძლებლობა, ვიბრძოლო საქართველოს ევროპული მომავლისათვის.

მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც ნდობა გამომიცხადა, რომ მათი სახელით ვიბრძოლო მთაწმინდა-კრწანისის მაჟორიტარულ ოლქში ივანიშვილის ოლიგარქიული მმართველობის წინააღმდეგ.

ჩვენ გვიწევს ბრძოლა იმ ღირებულებების და სიკეთეებისთვის, რომლებიც ჩვენთვის ძვირფასია და მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ქვეყანაში სამართლის დამკვიდრებისათვის, რომლის გარეშეც მშვიდად ვერ ცხოვრობს ადამიანი. სამართლის უზენაესობა აუცილებელი პირობაა ეკონომიკის განვითარებისათვის, ვინაიდან უსამართლო ქვეყანაში არც უცხოური ინვესტიციები შემოდის და არც ადგილობრივი ბიზნესი ვითარდება.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევისათვის, საერთაშორისო განათლების სტანდარტის შექმნისათვის, შშმ პირების და პენსიონერების ღირსეული ცხოვრებისათვის, დევნილთა და ომის ვეტერანთათვის, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვისათვის, სამართლიანი და ეფექტიანი სოციალური პოლიტიკისათვის და ა.შ.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისათვის, ვინაიდან ეს არის ერთადერთი გზა ქვეყნის განვითარების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, მისი დაცვის და შენარჩუნებისათვის. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ჩვენ ქვეყანაში ბედნიერებისაკენ ადამიანის სწრაფვის უფლების უზრუნველყოფისათვის, ყოველივე ამას კი ხელს უშლის ივანიშვილის ოლიგარქიული მმართველობა, ჩვენ ის უნდა დავამარცხოთ და შევცვალოთ.

დიახ, ცვლილებების დროა და ამ ცვლილებების განხორციელება არჩევნების პროცესში საქართველოს დასავლური ოპოზიციური ძალების მაქსიმალურ კოორდინაციასა და გამარჯვების შემდეგ კოალიციური მთავრობის შექმნაში მდგომარეობს. ერთპარტიულ და ერთპიროვნულ მმართველობაზე უარის თქმა და ქვეყნის კოალიციური მთავრობით მართვა წარმოადგენს დღეს საქართველოს მოქალაქეთა მოთხოვნას და ამ მოთხოვნის შესრულებაშია გამარჯვების გასაღები. სწორედ ასეთი მრავალფეროვანი ერთიანობით ჩვენ აუცილებლად დავამარცხებთ ბიძინა ივანიშვილს და გავიმარჯვებთ, – განაცხადა შავგულიძემ.

მიხეილ რამიშვილი: „ბაჩალიაშვილის საქმიდან ჩამოშორება გადავწყვიტე, მაგრამ, ოჯახის თხოვნით, ისევ დავბრუნდი“

– ან მიიღებენ გონივრულ გადაწყვეტილებას, ან იქნება პრეცედენტი, რომ აღნიშნული საქმე გადაიგზავნება სტრასბურის ევროპულ სასამართლოში და იქ მივიღებთ იმ შედეგს, რომელიც კიდევ ერთი შავი ლაქის სახით ჩაიწერება საქართველოს მართლმსაჯულებაში.

ასე ეხმაურება თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის ადვოკატი მიხეილ რამიშვილი საქართველოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც მის დაკითხვასთან და ტელეფონის დათვალიერებასთან დაკავშირებით სასამართლოს პირველი განჩინება არ გააუქმა.

მიხეილ რამიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ თამარ ბაჩალიაშვილის საქმეს ჩამოსცილებოდა, თუმცა ოჯახის დაჟინებული მოთხოვნით დაბრუნდა და ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

– ჩემთვის ძალიან მძიმე იყო ის მდგომარეობა, როდესაც ჩემს პირად სივრცეში და ადვოკატის პირად სივრცეში მოხდა შემოჭრა. მე ძალიან გამიჭირდა, იმიტომ, რომ შემხებლობა იყო ჩემს სხვა ძალიან ბევრს საქმესთან და კლიენტებთან. მინდა, ბოდიში მოვუხადო მათ, მერწმუნონ, რომ ბოლომდე ვერ მოხდა მათი ინფორმაციის მიღება, მაგრამ გარკვეულწილად იყო შემხებლობა. მე ამ საქმეს ჩამოვშორდი, მაგრამ ოჯახის კატეგორიული მოთხოვნა იყო და მათი გადაწყვეტილება იყო, რომ ისევ მომიწია, დავბრუნებოდი. ქალბატონი თეონა და ჯუმბერი რომ არა, მე გასული ვიყავი ამ საქმიდან.

ამ საქმეს დავუბრუნდი და ბოლომდე მივიყვან, მაგრამ მე შეზღუდული ვარ დანარჩენ საქმიანობაში. ყველაფერი უნდა იყოს მიმართული იმისკენ, რომ ეს უთანასწორო დამოკიდებულება – ჩვენი დაკითხვა და მობილური ტელეფონის ჩამორთმევა მოხდა აბსოლუტურად უკანონოდ, არ უნდა მოხდეს ამ პრეცედენტის დაშვება და ამგვარი მოქმედების დაკანონება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვოკატთა ინსტიტუტი ჩამოინგრევა და არ იქნება ჩვენს ქვეყანაში სწრაფვა დემოკრატიისაკენ, – აღნიშნა მიხეილ რამიშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნება“ 300 მანქანას 25 მილიონად ყიდულობს

რომან გოცირიძე: „ეს ხელისუფლება ლარს ჩამოანგრევს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.

– ბატონო რომან, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის ეკონომიკურ პროცესებს? ამ კუთხით უმძიმესი წელი გველისო. 2021 წლის ბიუჯეტი შემოვიდა პარლამენტში განსახილველად და რამდენად იმედის მომცემია, რას იტყვით?

– კი ბატონო, პარლამენტში შემოვიდა ბიუჯეტი და მიმდინარე კვირის განმავლობაში კომიტეტებსა და შემდეგ უკვე ფრაქციებში განიხილება. ჩვენი ფრაქცია ბიუჯეტს განიხილავს ორშაბათს, თუმცა პირველს, რასაც უკვე ვხედავთ, შეიძლება ვუწოდოთ უპასუხისმგებლო ხელისუფლების ბიუჯეტი.

– უფრო კონკრეტულად?

– ისევე, როგორც 2020 წლის ბიუჯეტში, რომელიც იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ეკონომიკური ვარდნიდან გამოწვეული. თითქოსდა ქვეყანაში არაფერი მომხდარაო, არც 5%-იანი ეკონომიკური ვარდნა, არც პანდემია, ყველა ძველი ხარჯი, რაც კი იყო ჩადებული, ბევრი უსარგებლო, ბევრი, შეიძლება, სასარგებლო, ოღონდ არა ამწუთას განსახორციელებელი, ბევრი ბიუროკრატიული და მასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა. ბევრი ისეთი ხარჯია, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ხელისუფლების ბიზნესებთან და პირდაპირ ტენდერების გარეშე იგებენ. აი, ეს ყველაფერი დარჩა ბიუჯეტში.

– ანუ არანაირი ქამრების მოჭერა არ იგრძნობა?

– რის ქამრის შემოჭერა, რა ქამრის შემოჭერა?! 8 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ წამოსცდათ ქამრის შემოჭერა და ეს გამოიხატა იმით, შავი ჯიპები არ გვინდა, 1000 ჯიპი უნდა გავყიდოთო და მერე უცებ შეცვალეს, არა, ჯიპები გვჭირდება, მაგრამ შავის ნაცვლად თეთრები უნდა ვიყიდოთო, განაცხადა თბილისის მერმა. ნაცვლად იმისა, რომ ოდნავი ფუფუნების ხარჯები მოეკლოთ, ამ წლის ბიუჯეტში დევს, რომ 25 მილიონი ლარის მსუბუქი ავტომობილები უნდა იყიდონ 300 ცალი. ეს ხომ კატასტროფა და ადამიანების დაცინვაა?!

– იმ ფონზე, როდესაც ასეთი სერიოზული კრიზისია ქვეყანაში და ლარი თავზე გვემხობა?

– სწორედ ამ ფონზე, როდესაც ამდენი კატასტროფა მოხდა, ადამიანი იფიქრებდა, რომ ახალი ბიუჯეტი მაინც შემოვიდოდა ისე, რომ გათვალისწინებული იქნებოდა ეს მძიმე ვითარება. ნურას უკაცრავად! კვლავაც საშინაო და საგარეო ვალის ზრდა, აღებული 5 მილიარდი ვალიდან 2,5 მილიარდი წელს დაიხარჯა, მეორე ნახევარი მომავალ წელს დაიხარჯება, ამას ემატება ახალი ვალები და ყველაფერი, რაც კი ამ ბიუროკრატიასა და მათ პირად ინტერესებს ხმარდებოდა, ისევ ჩარჩა. მეორე მხრივ, ამ ბიუჯეტს შეიძლება ვუწოდოთ ნახევარფაბრიკატი.

– რატომ ნახევარფაბრიკატი?

– ბიუჯეტი წარმოადგინეს და ამბობენ, ჯანდაცვის ხარჯები ჯერ კიდევ არ ვიცით, რამდენი იქნებაო, ანუ გაგაანია პანდემიაა, კატასტროფული სურათია და ამაში დამნაშავე ხელისუფლებაა იმის გამო, რომ წინასაარჩევნოდ გულარხეინობის ატმოსფერო უნდათ შექმნან. მათი მიზანია, ვითომდა გამოასხივონ წარმატება. პანდემიაზე გამარჯვებულ პარტიად გამოჰყავდათ „ქართული ოცნება“ და აი, ამ საშინელი ჩაკეტილობისა და დრაკონული ზომების მერე, რამაც ეკონომიკა ფაქტობრივად მოსპო და რომლითაც მართლა შეძლო ქვეყანამ პანდემიის თავიდან აცილება, შემდეგ რა მოხდა? წინასაარჩევნოდ მიუშვეს პროცესი და მივედით იქამდე, რომ საქართველო პანდემიის სომხურ გზას დაადგა.

„მთელი ზაფხული ბათუმი ისე მიუშვეს, თითქოს პანდემია საერთოდ არ არსებობდა! ახლაც გაურკვეველ გადაწყვეტილებებს იღებენ“

– რას გულისხმობთ სომხურ გზაში?

– სომხური გზა არის ერთ-ერთი ყველზე უარესი მსოფლიოში! სწორედ ასე დაიწყო სომხეთშიც, დღეში 100, 200, მერე ავიდა დღეში 700-მდე, მერე გახდა 50 ათასი ინფიცირებული და, სამწუხაროდ, საკმაოდ მაღალი ლეტალობის შედეგით. როდესაც ასეთი ვითარებაა და ვიცით, რომ ეს სცენარი ელემენტარულად პროგნოზირებადია და თანაც ხელისუფლებაც უწყობს იმას ხელს, რომ თვალი დახუჭოს არჩევნებამდე და პროცესები არ გაამკაცროს, ეს დიდი უპასუხისმგებლობაა, ხოლო რასაც ბათუმში ჩადის, უკვე დანაშაულია. მთელი ზაფხული ბათუმი ისე მიუშვეს, თითქოს პანდემია საერთოდ არ არსებობდა! ახლაც გაურკვეველ გადაწყვეტილებებს იღებენ. ახლა, აი, ასეთ ვითარებაში გამოდიან და ამბობენ, ჯანდაცვის ბიუჯეტი რამდენი იქნება, ჯერ არ ვიცითო! არადა, ძალიან კარგადაც ვიცით, საით მიდის პროცესები.

– საით მიდის?

– უკიდურესად მძიმე ვითარება შეიქმნება. გარდა ამისა, სიცრუეა ისიც, რომ 3% იქნება ინფლაცია. ბიუჯეტის ერთი გვერდი თავადვე ამხელს სიცრუეში ბიუჯეტის მეორე გვერდს. თუ ერთ გვერდზე წერია, რომ ინფლაცია იქნება 3%, სხვა გვერდზე წერია, რომ ლარის კურსი იქნება დაგეგმილი – 3,30, რაც ამ ხელისუფლების პირობებში გამორიცხულია. ეს ხელისუფლება ლარს ჩამოანგრევს, მაგრამ, რომც დავიჭიროთ და 3,3 იყოს ლარის კურსი მთელი წლის განმავლობაში, ეს უკვე ნიშნავს ფასების მნიშვნელოვან ზრდას. მოემატება ფასი ელექტროენერგიას, გაზს. ასევე მოემატება ფასები რეგულირების ტარიფებს.

– ფასებმა უკვე მოიმატა პირველადი მოხმარების პროდუქტებზე, საწვავზე...

– რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მოიმატებს ფასები იქ, სადაც სახელმწიფო ვერ აკონტროლებს სიტუაციას, იქ, სადაც საბაზრო პრინციპებია. ლარი რომ უფასურდება და ქვეყანაში შემოდის იმპორტული საქონელი, იქ ფასი ყოველთვის იმატებს. როდესაც შენ ამბობ, რომ ლარის კურსი იქნება სამი და სამი, ეს ნიშნავს რომ იმპორტდამოკიდებულ ქვეყანაში ფასები ყველაფერზე გაიზარდა. გამოდიან და ამაყობენ, პენსია 20 ლარით გაიზრდებაო. 20 ლარით პენსიის ზრდა უკვე შეჭამა ამ წლის განმავლობაში მომატებულმა ფასებმა და ეს ფასები განსაკუთრებით მძიმედ ურტყამს პენსიონერებსა და სოციალურად დაუცველებს, ვინაიდან მათი შემოსავლის დიდი ნაწილი იხარჯება ისეთ საქონელზე, რომლის ფასი ქვეყანაში უფრო მეტად მატულობს, ვიდრე ქვეყანაში ინფლაცია – სურსათი, მედიკამენტები და ასე შემდეგ. ასე რომ, პენსიის 20-ლარიანი ნამატი შეჭამა ამ წლის ინფლაციამ, ხოლო მომავალი წლის ინფლაცია, მთელი წლის განმავლობაში რომ იქნება, კიდევ უფრო შეამცირებს მისი პენსიის რეალურ მსყიდველობითუნარიანობას, ისევე, როგორც ხელფასების მსყიდველობითუნარიანობას. ასე რომ, ეს ბიუჯეტი, თავისი რეალური წონით, მყარ ვალუტაში, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ბიუჯეტი, რომელიც იყო რამდენიმე წლის წინ. ქვეყანა ღარიბდება, იმის ნაცვლად, რომ გამდიდრდეს.

– საბოლოო ჯამში, რის თქმა შეგიძლიათ 2021 წლის ბიუჯეტზე?

– 2021 წლის ბიუჯეტით შეგვიძლია, მომდევნო წლების ბიუჯეტიც განვსაზღვროთ. ამიტომ გეტყვით, რომ 2022-ში და 2023-შიც საქართველო ისეთივე ღატაკი იქნება, როგორიც დღეს არის. ამიტომ ამ ბიუჯეტს აქვს თავისი პოლიტიკური შედეგი. გვინდა, რომ იყოს სხვანაირი ბიუჯეტი? გვინდა, ქვეყანა წინ წავიდეს? გვინდა, სიღარიბე შემცირდეს?! მაშინ უნდა გვინდოდეს, რომ ეს ხელისუფლება შეიცვალოს! აი, ეს არის გამოსავალი.

„ჩვენს სასამართლოებში მიმდინარე პრობლემა ქვეყნის ფარგლებს გასცდა“

ლევან ალაფიშვილი: „2003 წლიდან თითქმის ყველა არჩევნების შედეგი მეტ-ნაკლები დოზით წასულა სასამართლოში. ყველა ხელისუფლების ხელში გაყალბების ლეგიტიმაციის ბერკეტი სწორედ სასამართლო იყო“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ევროკავშირის წარმომადგენლის პეტერ სატანოს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, ვენეციის კომისიის დასკვნის გარეშე მიღებულმა კანონმა უზენაესი სასამართლოში მოსამართლეთა გამწესებასთან დაკავშირებით ევროკავშირის წარმომადგენლის იმედგაცრუება გამოიწვია. როგორ ფიქრობთ, რატომ არ დაელოდნენ დასკვნას?

– ხელისუფლებას საკუთარი არადემოკრატიული გადაწყვეტილების შესაფუთად უკვე მერამდენედ უწევს, პირდაპირი მნიშვნელობით, იცრუოს. ამით მმართველი პარტია არა მხოლოდ საკუთარ თავს აზიანებს, არამედ სახელმწიფოსაც.

ზუსტად ასე მოიქცა საპარლამენტო უმრავლესობა კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს, როდესაც უკვე კენჭნაყარი ვერსია, თითქმის დასრულებული, გაუგზავნა ვენეციის კომისიას. საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ისეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციას, როგორიც ვენეციის კომისიაა, საერთოდ პარტნიორებს ასე არ ექცევიან. შიდაპოლიტიკური და ვიწროპარტიული მიზნებისთვის მათი ასე გამოყენება მავნებლობაა, სახელმწიფოს აზიანებს.

– უმრავლესობის ლიდერები აცხადებენ, კანონპროექტი ჩვენი ინიციატივით გავაგ ზავნეთ და არა ოპოზიციისო. თუმცა საბოლოო დასკვნას არ დაელოდნენ, ისე მიიღეს მესამე მოსმენით.

– ორი მოსმენით უკვე კენჭნაყარი იყო

კანონპროექტი, ისე გააგზავნეს. მესამე მოსმენაზე კანონპროექტი არ იცვლება, მხოლოდ რედაქციული ხასიათის შენიშვნები შედის. შეიძლება, რიგითმა მოქალაქეებმა ეს ნიუანსები არ იციან, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით! პარლამენტის ორმოსმენაგავლილ კანონპროექტს რომ გააგზავნი, როგორღა უნდა გაითვალისწინო ის შენიშვნები, რომლებიც ექნებათ?! რა, უკან დააბრუნებდნენ?!

უმრავლესობის წარმომადგენელმა განაცხადა, ვენეციის კომისიას ვუთხარით, დროზე დაეწერათ დასკვნა, გეგონება, მათი სტრუქტურული ერთეულია ვენეციის კომისია. მსოფლიოს კონსტიტუციის ავტორიტეტებს უთხრეს, 30 სექტემბრამდე თუ მოასწრებთ, მოასწრებთო! ამით უთხრეს, კანონი მიღებულია პრაქტიკულად და ვერაფერი შეიცვლებაო. ეს ის თამაშია, რომელიც ერთხელ უკვე ითამაშეს და მეორედაც გაათამაშეს. თუმცა ეს სახელმწიფოს, შეიძლება, ძალიან ძვირად დაუჯდეს. ამით კიდევ უფრო დაიზიანეს როგორც საკუთარი იმიჯი, ისე მორიგი ზიანი მიაყენეს მართლმსაჯულების სისტემას, მის ავტორიტეტს, ნდობას.

ჩვენს სასამართლოებში მიმდინარე პრობლემა უკვე გასცდა ქვეყნის ფარგლებს. ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, ამერიკა, მწვავედ აკეთებს ამ საკითხზე აქცენტს. სწორედ ამ ფონზე წარიმართა უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა სასწრაფო წესით გამწესება. ასევე სახალხო დამცველს სარჩელი ჰქონდა შეტანილი საკონსტიტუციო სასამართლოში. ეს იყო კუნთების თამაში, როდესაც ე.წ. პოლიტიკური მანიპულაციების მანქანა ჩაერთო.

– მაინც რას ემსახურებოდა ასე ნაუცბათევად მიღებული გადაწყვეტილება, რომ უზენაესი სასამართლო დაკომპლექტებულიყო? „ქართულ ოცნებას“ ძალიან ძვირად დაუჯდა, მთელი პოლიტიკური პროცესების საწყისი აღმოჩნდა. ამ კანონის მიღება საკონსტიტუციო უმრავლესობის დაკარგვის ფასად დაუჯდათ.

– ემსახურებოდა მხოლოდ ერთადერთ მიზანს – მართლმსაჯულების სისტემის ტოტალურ კონტროლსა და პოლიტიკურ ლოიალობას. ამით მოხდა სასამართლო სისტემის ყველა რგოლის სრული კონტროლი. შესაბამისად, იგივე შემიძლია ვთქვა საკონსტიტუციო სასამართლოზე, სადაც ასევე არის სრული კონტროლი. რეალურად სულაც არ არის მმართველი პოლიტიკური ძალის ზრახვა რთული გამოსაცნობი. მორჩილი, მთავრობის პოლიტიკურ ნებას დაქვემდებარებული მართლმსაჯულება, სამწუხაროდ, გარდამავალი ან არადემოკრატიული სახელმწიფოებისთვის უცხო არ არის. თუკი რამ დემოკრატიულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანია, ღირებულია, ეს, პირველ რიგში, თავისუფალი და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებაა. თავისუფალი სასამართლო არის მძლავრი იარაღი ადამიანის, მოქალაქის ხელში, თავი დაიცვას, პირველ რიგში, სწორედ ხელისუფლებისგან.

– დავით უსუფაშვილი აცხადებს, რომ მმართველი ძალისთვის სასამართლო არის მთავარი ბერკეტი, რომლითაც უნდათ ქვეყანაში გაყალბებული არჩევნების „გაპრავება“. შეიძლება, საარჩევნო დავებმა სასამართლოში გადაინაცვლოს?

– დიახ, რა თქმა უნდა! 2003 წლიდან თითქმის ყველა არჩევნების შედეგი მეტ-ნაკლები დოზით წასულა სასამართლოში. ყველა ხელისუფლების ხელში ბერკეტი, დიახ, გაყალბების ლეგიტიმაციის ბერკეტი სწორედ სასამართლო იყო. თუმცა ყველა ხელისუფლებას უნდა ახსოვდეს 2003 წლის 25 ნოემბრის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც დღევანდელმა თავმჯდომარემ, მოსამართლე ნინო ქადაგიძემ გამოაცხადა. უზენაესი სასამართლოს იმ გადაწყვეტილებით 2003 წლის პროპორციული არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი.

„არსებობს „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერების კორონავირუსით დაინფიცირების გეგმა“

სოსო შატბერაშვილი: „კოვიდ 19-ს გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები მთელ მსოფლიოში იყენებენ“

მარიამ მჭედლიშვილი



პარლამენტის 31 ოქტომბრის არჩევნების მოახლოების კვალდაკვალ გამოითქმის სხვადასხვა პროგნოზი მის შედეგზე. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს, რომელიც „პატრიოტთა ალიანსის“ სახელით კენჭს იყრის მცხეთისა და სხვა რაიონების მაჟორიტარობის კანდიდატად.

– ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ 31 ოქტომბერს დამთავრდება ბიძინა ივანიშვილის მმართველობა. მმართველი პარტია, თავის მხრივ, ირწმუნება, რომ დიდი უპირატესობით მოიგებს არჩევნებს და მესამე ვადით დარჩება ხელისუფლებაში. რას იტყვით?

– ასეთი პოლიტიკური წინასაარჩევნო პროგნოზები ისეთივე დიდი ტყუილია, როგორც რიგი სოციოლოგიური პოლიტიკური კვლევები პარტიებისა და პოლიტიკოსების რეიტინგებით, ასევე ამინდის პროგნოზები. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან 2003 წლის მოვლენებს. მაშინ არათუ პროგნოზები და გამოცხადებული რეიტინგები არ გამართლდა, არამედ, უკვე არჩეულ დეპუტატებს ჩამოგვართვეს მანდატები.

– „ვარდების რევოლუციას“ გულისხმობთ?

– დიახ. ასე ეძახიან იმდროინდელ სახელმწიფო გადატრიალებას. მე იმ პარლამენტში ლეიბორისტული პარტიიდან მოვხვდი. პარლამენტში შესვლამდე ადამიანს ევალება ნარკოტესტის გავლა. ნარკოლოგიურ შემოწმებაზე მივედი, როგორც დეპუტატი. ტესტი რომ გავიარე და გამოვედი, დეპუტატი აღარ ვიყავი. პარლამენტში შეჭრა და შევარდნაძის ტრიბუნიდან ჩამოგდება სწორედ დროის იმ მონაკვეთში მოხდა. გავიხსენოთ 2012 წლის ამბები. თავიდან „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას ერთნაირი მდგომარეობა ჰქონდათ. შემდეგ გამოქვეყნდა ციხის კადრები და ყველაფერი თავდაყირა დადგა.

– ამ არჩევნებამდეც შეიძლება აირიოს ყველაფერი?

– რასაკვირველია. ჩვენ არ ვიცით, რა მოხდება არჩევნებამდე. ისე, ნაციონალები და „ქართული ოცნება“ რომ ვერ იყოფენ პირველ ადგილს მომავალ პარლამენტში, რეიტინგებზე სხვა მონაცემებიც არსებობს. „პატრიოტთა ალიანსმა“, რომელთანაც ჩვენ ამ არჩევნებში კოალიცია შევქმენით, ჩაატარა დიდი სამუშაო, გამოჰკითხა უამრავი ადამიანი. ამ გამოკითხვაში „პატრიოტთა ალიანსი“ ლიდერობს.

– თუმცა მისი პირველი ადგილიც საკამათოა მომავალ არჩევნებზე.

– ამას არჩევნები გვაჩვენებს. 3 ოქტომბერს ჩვენ თბილისის ცენტრში, თავისუფლების მოედანზე, უზარმაზარი რაოდენობის ხალხი შევკრიბეთ პანდემიის პირობებში. დისტანცია რომ არ ყოფილიყო საჭირო, უფრო დიდი თავყრილობა გამოვიდოდა. მანამდე, წინა თვეში, ქუთაისში იყო ხალხმრავალი შეკრება. ასე რომ, ჩვენი კოალიცია არჩევნებზე დიდ პროცენტებს აიღებს.

– სხვებზე რას იტყვით?

– ნაციონალური მოძრაობა დაახლოებით 10%-ს აიღებს. რა თქმა უნდა, სხვებიც მოხვდებიან.

– თქვენ ახსენეთ მოულოდნელი მოვლენების შესაძლებლობა არჩევნებამდე. მოულოდნელი მოვლენები არჩევნების შემდეგაც შეიძლება მოხდეს.

– ცხადია. ჩემი აზრით, მოულოდნელი მოვლენები დაკავშირებულია კოალიციური მთავრობის დაკომპლექტებასთან.

– როცა უთანხმოება გამოიწვევს ვადამდელ არჩევნებს?

– თუ რომელიმე ერთმა ძალამ ვერ შექმნა კოალიცია დამოუკიდებლად, საქართველოში დაიწყება პოლიტიკური არმაგედონი. წარმოიდგინეთ, ნაცმოძრაობა და სხვა პარტიები ვერ იყოფენ მაჟორიტარულ ოლქებს, ერთმანეთს ჭამენ კანდიდატების გამო. ახლა რომ ეს ამბავია, მინისტრების პორტფელები თუ იქნება გადასანაწილებელი, ღამის ომი ატყდება. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ნაციონალებმა რაიმე გადაინაწილონ. მათ ხელში სამინისტროების ჩაგდება ნიშნავს ფინანსების დატაცებას.

– თუ „ქართულ ოცნებას“ დასჭირდება სხვებთან შეთანხმება კოალიციურ მთავრობაზე, თქვენი კოალიცია როგორ მოიქცევა?

– ჩვენი კოალიცია ამაზე მაშინ იმსჯელებს. მოვიქცევით ისე, როგორც სახელმწიფოსა და ერს წაადგება.

– უთანხმოება ამ შემთხვევაშიც იქნება?

– ამისგან დაზღვეული არ ვართ. კინკლაობა გამორიცხული არ არის. „ქართულ ოცნებაში“ ჩვენთვის მისაღები პირებიც არიან და მიუღებელი პერსონებიც. თუ კახი კახიშვილსა და დავით სერგეენკოს ისევ აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაიყვანენ, მათ კანდიდატურებს მივესაღმებით. 2012 წელს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ოცნებამ“ მინისტრებად რესპუბლიკელები დანიშნა. ამას ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდით. თუ მიუღებელ ხალხს წარადგენს „ოცნება“ მინისტრებად, ამის წინააღმდეგ გამოვალთ. „ოცნებასთან“ თანამშრომლობის შესახებ მივიღებთ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც გამომდინარეობს ქვეყნისა და ერის ინტერესებიდან.

– შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური სიტუაცია როგორ აისახება პოლიტიკაზე?

– ამან უკვე დაასვა დაღი ჩვენს ცხოვრებას. პირველ რიგში, ვირუსმა დაარტყა ჩვენს ეკონომიკას. ეკონომიკაში გვქონდა 4 და 5%-იანი მატება. ამის მაგივრად მივიღეთ 5 და 6%-იანი კლება. ეს არის მაგიერად 12%-იანი ზარალი. საქართველოსთვის ეს კოლოსალური დარტყმაა. უნდა ვთქვა, რომ კოვიდ 19-ს გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები მთელ მსოფლიოში იყენებენ. აშშ-სა და საქართველოს შორის პარალელების გავლებაც შეიძლება.

– რა პარალელებია აშშ-სა და საქართველოს შორის?

– სპეციალისტების დასკვნით, საპრეზიდენტო არჩევნების წინ დონალდ ტრამპს ეს ვირუსი განგებ შეჰყარეს. ავადმყოფობის პერიოდში ტრამპი გამოეთიშა საარჩევნო კამპანიას. მსგავსი მიკროსქემა ამოქმედდა საქართველოშიც. მისი სამიზნეა „პატრიოტთა ალიანსი“.

– ამაზე რაიმე ინფორმაციას ფლობთ?

– დიახ. 3 ოქტომბერს მიტინგზეც იგეგმებოდა პარტიის ლიდერების, წევრების, კანდიდატების დასნეულება. არსებობს „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერების დაინფიცირების გეგმა პარტიის ოფისშიც. ჩვენ დავაანონსეთ სხვა აქციები. იმისათვის, რომ აქციები არ შედგეს, ასევე ეს ძალა დასუსტდეს და გამოეთიშოს წინასაარჩევნო კამპანიას, მის წინააღმდეგ ეწყობა იგივე, რაც ტრამპის წინააღმდეგ.

– ვინ გიწყობთ ამას?

– იგივე ჯგუფი, რომელიც ებრძვის დონალდ ტრამპს. საქართველოში მისი წარმომადგენელია „მაკეინის ინსტიტუტის“ დირექტორი დევიდ კრამერი. ჩვენ შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს აშშ-ის ელჩთან, სხვა მოხელეებთან. ჩვენ მოგვწონს დონალდ ტრამპის ერთგულება ტრადიციული ღირებულებებისადმი. კრამერი კი ჩვენთვის მიუღებელია. ეს კაცი უნდა გამოცხადდეს პერსონა ნონ გრატად. კრამერი საქართველოში ფსევდოლიბერალური ჯგუფების, არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის კოორდინატორია. ეს კაცი დამახინჯებულ ინფორმაციებს ავრცელებს და ირწმუნება, თითქოს „პატრიოტთა ალიანსი“ რუსული ძალაა. ამიტომ ვამბობ, რომ კოვიდ-19-ს ბევრ ქვეყანაში პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ. საქართველოშიც მოქმედებს მიკროსქემები.

– არჩევნების შემდეგ მინელდება კორონავირუსის პოლიტიზაცია?

– არა. თუ ერთი ძალა მოიპოვებს უმრავლესობას, მაშინ ეს თავდასხმები შესუსტდება, ხოლო თუ სიტუაცია აირევა და წავა კინკლაობა კოალიციური მთავრობის შექმნაზე, მაშინ ეს ფსევდოლიბერალები გააქტიურდებიან და კოვიდ 19-საც გამოიყენებენ საკუთარი მიზნებისათვის.

წინასაარჩევნო კამპანიაში მასწავლებლების მობილიზების ფაქტები დაფიქსირდა

„სამოქალაქო პლატფორმა 20/20“-მა წინასაარჩევნო კამპანიაში პარტიულ ღონისძიებებზე მასწავლებლების მობილიზების ფაქტები დააფიქსირა, რაც მოქმედი კანონმდებლობით აკრძალულია.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ორგანიზაციის პრესსამსახურიდან აცნობეს.

როგორც „სამოქალაქო პლატფორმა 20/20“-ის აღმასრულებელმა დირექტორმა თენგო თევზაძემ განმარტა, 2020 წლის წინასაარჩევნო პერიოდში მასობრივი ხასიათი მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაციების თანამშრომლების, მათ შორის, მასწავლებლების პარტიულ ღონისძიებებზე მობილიზებამ.

– ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა სკოლის მასწავლებლების მობილიზება ხდება მაჟორიტარებთან შეხვედრის მიზნით, მათ შორის, სამუშაო საათებში. აღნიშნულ ფაქტებს, რომელიც ა(ა)ი.პ „სამოქალაქო პლატფორმა 20/20“ იკვლევს, ხშირ შემთხვევაში, ორგანიზებული ხასიათი აქვს, რომელსაც ორგანიზებას პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და სკოლების დირექტორები უწევენ, – განაცხადა თევზაძემ.

მისი თქმით, საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, აკრძალულია სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 49 (1) ა)

– ჩვენი ორგანიზაცია აგრძელებს ბოლნისის, თბილისის, გურიისა და წყალტუბოს ფაქტების შესწავლას და შესაძლო დარღვევების შესახებ მიმართავს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საქართველოს განათლების სამინისტროს. ეს უკანასკნელი მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს აღნიშნული ფაქტების პრევენციას და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები, – განმარტა თევზაძემ.

„სამოქალაქო პლატფორმა 20/20“ ცესკოს მიერ რეგისტრირებულია, როგორც ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია, რომელიც 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებსა და მიმდინარე საარჩევნო პროცესს აკვირდება.

გიგი უგულავა: „სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი არ გახდება“

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა მიიჩნევს, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი ვერ გახდება.

როგორც უგულავა ამბობს, კვლევები აჩვენებს, რომ ხალხს ორპოლუსიანობა აღარ სურს.

– მე ვფიქრობ, რომ მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი არ გახდება. ამაზე საზოგადოებრივი კონსენსუსი არ არსებობს. ეს სამწუხაროდ არის იგივე ორპოლუსიანი თამაში, რომელსაც გვთავაზობს 2013 წლიდან ივანიშვილის და ამ თამაშს იღებს სააკაშვილი. ეს აძლევს მას ტივტივის შესაძლებლობას, რომ იყოს მთავარი ოპოზიციონერი.

ამავე დროს, ივანიშვილისა და სააკაშვილის დაპირისპირებაში ხრიკებით თუ მანიპულაციებით ვხედავთ, რომ იგებს ივანიშვილი. ყოველგვარი ორპოლუსიანობა არის ბიძინას თამაში და როდესაც ყველა კვლევა ანახებს, რომ ერთ მესამედს არ უნდა არც ერთი, ორი პოლუსი არის გამოგონილი ზღაპარი, რომელსაც გვაჩვენებს ივანიშვილი, რომ გავიდეს ფონს, რათა ხალხს დაავიწყოს დღევანდელი პრობლემები.

ეს არის რეალური პრობლემებიდან ყურადღების გადატანა. ვხედავთ, რომ ლარი ჩამოვარდნილია, ეკონომიკა გაჩერებულია, კოვიდი გაქცეულია, კრიმინალი გაბლატავებულია. ხალხს აწუხებს დღევანდელი პრობლემა, გარდამტეხი ცვლილება უნდა და სჭირდება პრობლემების მოგვარება, – განაცხადა გიგი უგულავამ.

ანრი ოხანაშვილი: „მამუკა ხაზარაძემ და ნაციონალებმა აჩუქონ რამე ქვეყანას“

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „რეზიუმეში“ განაცხადა, რომ ნაციონალური მოძრაობისგან იპოდრომის ტერიტორიის საკითხზე საუბარი „უსინდისობაა“.

– გაგიგიათ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ და მათმა ბელადებმა სახელმწიფოს რამე აჩუქეს? მამუკა ხაზარაძე ჩუქებასთან ასოცირდება თუ ქონების წართმევასთან?

ეს ადამიანები საუბრობენ უსინდისოდ და ურცხვად. ბიუჯეტის ქურდი უგულავა, რომელმაც თბილისელებს ბიუჯეტიდან მოჰპარა 50 მლნ ლარამდე, დღეს აკრიტიკებს ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც იპოდრომი გამოისყიდა და შემდგომ აჩუქა ქვეყანას და კიდევ უნდა დახარჯოს რამდენიმე ათეული მილიონი. საზღვარი ხომ აქვს ყველაფერს? მერე გაუკვირდებათ, ჩვენი რეიტინგი რატომ ეცემაო, – განაცხადა ოხანაშვილმა.

თამარ ლუკავა: „პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი 9 წლის გოგონაზე სექსუალურ ძალადობაშია ეჭვმიტანილი“

68 წლის მამაკაცი, პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი, რომელიც 9 წლის გოგონაზე სექსუალურ ძალადობაშია ეჭვმიტანილი, ძალადობის ფაქტიდან ორი კვირის შემდეგაც დაკავებული არ არის. დაზარალებულის ოჯახი ფიქრობს, რომ მას ხელს აფარებენ.

9 წლის გოგონას დედა ამბობს, რომ მომხდარის შესახებ ბავშვის მონათხრობიდან გაიგო. გოგონამ დედას უამბო, რომ კაცმა, რომელიც მათი მეზობელია და სახლში დაბრუნებისას კარის გაღებაში დაეხმარა, მასზე იძალადა.

დედის თქმით, ეს ძალადობის პირველი შემთხვევა არ არის. მან მეზობელთან სიმართლის გარკვევა თავად ცადა, მაგრამ სავარაუდო მოძალადემ ამის შემდეგ პოლიციას მიმართა და 9 წლის გოგონას ოჯახი ცილისწამებაში დაადანაშაულა.

იმის გამო, რომ სავარაუდო მოძალადე პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანია, დაზარალებულის ოჯახის ადვოკატი თამარ ლუკავა მიიჩნევს, რომ გამოძიება მიზანმიმართულად ჭიანურდება.

დაზარალებულის ოჯახმა დახმარებისთვის ორგანიზაცია „საფარსაც“ მიმართა. ორგანიზაციაში ამბობენ, რომ ამ ტიპის დანაშაულების გამოძიება სისტემური პრობლემების ან სტერეოტიპული აზროვნების გამო არ ხდება.

გაგი მოსიაშვილი: „ლუკა სირაძეს თავი არ მოუკლავს. ის, შეიძლება, შემთხვევით გადმოვარდნილიყო“

საია ადვოკატს ტყუილში ადანაშაულებს



გარდაცვლილი ლუკა სირაძის საქმეზე დაკავებული გამომძიებლის მარიანა ჩოლოიანის ადვოკატ გაგი მოსიაშვილის განცხადებით, ლუკა სირაძეს თავი არ მოუკლავს, არამედ ის იმ პერიოდში ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, რაც ექსპერტიზით დადასტურდა. ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ ლუკა სირაძე გადმოვარდნილიყო.

როგორც გაგი მოსიაშვილმა მედიაცენტრ „მთავარში“ განაცხადა, სასამართლო მარიანა ჩოლოიანის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის გამოტანისას მოქმედებდა არა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, არამედ იმ განცდებითა და შთაგონებით, რომ სასამართლოს საზოგადოების დაკვეთა შეესრულებინა.

– ფაქტია, სასამართლომ საქმის არსებითი გამოკვლევის დროს დადგენილი მტკიცებულებები არ გაითვალისწინა. ჩვენ არ გვინდა ახალგაზრდა გარდაცვლილი პირის დისკრედიტაცია, ამ გარემოებას რა თქმა უნდა, ვემიჯნებით, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, საზოგადოებამ იცოდეს ის მნიშვნელოვანი გარემოებები, რაც საქმის არსებითი გამოკვლევის დროს გამოიკვეთა.

გამოიკვეთა ის, რომ ლუკა სირაძეს, გარდაცვლილ ახალგაზრდას, რომელიც პოლიციის განყოფილებაში იმყოფებოდა, სატელეფონო საუბარი ჰქონდა საკუთარ ძმასთან და ძმა განმარტავს, რომ ის ტელეფონით ეჩხუბა. ფაქტია ის, რომ ელიკო ჩხიტუნიძეს, ანუ ლუკა სირაძის დედას გარკვეული სახის კონფლიქტი მოუვიდა პოლიციის განყოფილებაში, რაზეც მარიანა ჩოლოიანს ადეკვატური რეაქცია ჰქონდა. თავად დედას გარდაცვლილთან კონფლიქტური, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა და, რბილად რომ ვთქვათ, მისი სიტყვებით, „მან ნიკაპშიც კი გაარტყა, რადგან უზრდელობდა“. ფაქტია ისიც, რომ, სამწუხაროდ, გარდაცვლილი ახალგაზრდა როდესაც მრავალკორპუსიანი საცხოვრებელი ადგილიდან გადმოვარდა, სისხლზე ჩატარდა ექსპერტიზა და დადგინდა, რომ იგი ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იყო.

ასევე, ფაქტია ის გარემოება, რომ, სამწუხაროდ, იყო გარკვეული სახის დისკრიმინაცია სწორედ დედის მხრიდან გარდაცვლილი ახალგაზრდის მიმართ, ვინაიდან მას არაერთხელ უთქვამს და ამას მოწმეებიც ადასტურებენ, რომ ერთი შვილით ძალიან კმაყოფილი იყო. საუბარია მის უფროს შვილზე, ბექა სირაძეზე, რომ ის წარმატებული იყო, ხოლო მისი პატარა შვილი, ლუკა სირაძე, ყოველთვის პრობლემებს უქმნიდა, – განაცხადა გაგი მოსიაშვილმა.

ადვოკატის განმარტებით, საგამოძიებო უწყება არ დაინტერესებულა ექსპერტიზის დასკვნით, რომლითაც დადგინდა, რომ ლუკა სირაძე ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო.

– ჩატარდა ექსპერტიზა, რომელიც არა გამოძიებამ, არამედ დაცვის მხარემ ჩაატარა. ექსპერტიზით დადგინდა, რომ ამ შემთხვევაში უფრო არის თავისუფალი ვარდნა, ანუ გადმოვარდნა უფრო შეიძლება იყო ის, რაც შემთხვევის ადგილზე ნახეს და არა ვინმეს მხრიდან თავის მოკვლა. ამიტომ მხოლოდ იმაზე აპელირება, რომ ლუკა სირაძემ საგამოძიებო ორგანოს დატოვების შემდეგ თავი მოიკლა, არასწორია. მას თავი არ მოუკლავს. ის იმ პერიოდში იმყოფებოდა ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ. ეს დადასტურებული ფაქტია და, არ არის გამორიცხული, რომ გადმოვარდნილიყო.

ამასთან დაკავშირებით არც საგამოძიებო უწყებები დაინტერესებულან და არც ამაზე საუბრობს ვინმე, – აცხადებს გაგი მოსიაშვილი.

ადვოკატის თქმით, საქმის მასალებით არც ერთი მტკიცებულება არ მოიპოვება, რომელიც მარიანა ჩოლოიანის მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებას დაადასტურებდა.

– შანტაჟთან დაკავშირებით, რომელზეც ასე აპელირებს ბრალდების მხარე, არანაირი მტკიცებულება არ არსებობს. მხოლოდ დედის, დაინტერესებული პირის ჩვენებაა. უფრო მეტიც, სახელმწიფო ბრალდებამ გაბედა და მტკიცებულება ფაქტობრივად დამალა, არ წარმოადგინა ის მტკიცებულება, რომელიც თუნდაც იმ კითხვაზე პასუხს სცემდა, რამდენიმე საათის განმავლობაში რატომ გაჩერდა ახალგაზრდა პოლიციის განყოფილებაში, – განაცხადა ადვოკატმა.

ცნობისთვის, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 15 წლის მოზარდის ლუკა სირაძის გარდაცვალების საქმეზე გამომძიებელ მარიანა ჩოლოიანს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

შეგახსენებთ, 15 წლის მოზარდი, ლუკა სირაძე, რომელმაც პოლიციაში გამოკითხვის შემდეგ თვითმკვლელობა ცადა, 17 დეკემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

❖ ❖ ❖

გაგი მოსიაშვილის განცხადებას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გამოეხმაურა.

როგორც საიაში განმარტავენ, ადვოკატი ცდილობს, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ ლუკა სირაძის თვითმკვლელობა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედებამ გამოიწვია, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2020 წლის 7 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ლუკა სირაძის საქმეზე ბრალდებული გამომძიებლის, მარიანა ჩოლოიანის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და მას 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

მარიანა ჩოლოიანს პროკურატურა ამ ეტაპზე ჩვენების მიცემის იძულებას ედავება (სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება). შესაბამისად, ამ დროისათვის სასამართლოში არ განიხილება ლუკა სირაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტი.

ამდენად, სასამართლო არ იკვლევს ლუკა სირაძის გარდაცვალების მიზეზებს. ამის მიუხედავად, სხვადასხვა მედიასაშუალებაში მარიანა ჩოლოიანის დაცვის მხარის მიერ არაერთხელ გაჟღერდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ლუკა სირაძე გარდაცვალების მომენტში იმყოფებოდა ნარკოტიკული თრობის ქვეშ, რაც, მათივე განმარტებით, დადასტურებულია სისხლის სამართლის საქმის მასალებითა და ექსპერტიზის დასკვნით. ასევე, არასწორად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ლუკა სირაძე როგორც დედის, ასევე ძმის მხრიდან იყო აგრესიის მსხვერპლი.

გვინდა საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ მარიანა ჩოლოიანის ადვოკატ გაგი მოსიაშვილის მიერ გავრცელებული ფაქტები არ ეყრდნობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილია ექსპერტიზის ორი დასკვნა. დასკვნების თანახმად, გარდაცვალების დღეს ლუკას ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე არსებულ სისხლში, ასევე შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ასფალტის ზედაპირიდან ამოღებულ სისხლში არ აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები.

მეორე ექსპერტიზის ფარგლებში ლუკას სისხლის ნიმუშის აღება მოხდა მისი სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნისას. დასკვნაში აღნიშნულია, რომ სისხლში აღმოჩნდა მხოლოდ ნარკოტიკული საშუალება მორფინი და ფსიქოტროპული ნივთიერებები დიაზეპამი და ნორდაზეპამი, რომლებიც მას სამედიცინო დანიშნულებით გაუკეთდა კლინიკაში მიყვანის შემდგომ.

სასამართლო სხდომაზე აღნიშნული პრეპარატების სამედიცინო დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით ჩვენება სასამართლოს სპეციალური ცოდნის მქონე პირმაც მისცა. ექსპერტიზის დასკვნით, ასევე უარყოფითია პასუხი ალკოჰოლურ თრობასთან დაკავშირებით.

აშკარაა, რომ მცდარი ფაქტების გავრცელებით ადვოკატი გაგი მოსიაშვილი საზოგადოებაში ლუკა სირაძისა და მისი ოჯახის მიმართ ნეგატიური განწყობის ფორმირებასა და ამ გზით საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვას ცდილობს. საია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მოქმედება ეწინააღმდეგება ადვოკატის ეთიკის ნორმებს.

კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობასა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

საია მოუწოდებს გაგი მოსიაშვილს, შეწყვიტოს მცდარი ფაქტების გავრცელება და იმოქმედოს კანონისა და ადვოკატის ეთიკის ნორმების შესაბამისად“, – აღნიშნულია ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სასაზღვრო პოლიციელი, 53 წლის დ.ქ., დედოფლისწყაროში დაჭრეს

დააკავეს 33 წლის მამაკაცი

სამართალდამცავებმა დედოფლისწყაროში 33 წლის მამაკაცი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

ბრალდებულმა ყოფით ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკების შემდეგ ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა თავის მეზობელს, შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სპეციალისტს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, დედოფლისწყაროში 1987 წელს დაბადებული მ.მ. დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა დედოფლისწყაროში, ყოფით ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკების შემდეგ, ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა თავის მეზობელს – 1967 წელს დაბადებულ დ.ქ.-ს. პოლიციამ ბრალდებული მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე, დედოფლისწყაროში დააკავა.

დ.ქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სპეციალისტია და შემთხვევის დროს ის სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდა. დაშავებული გადაყვანილია საავადმყოფოში, სადაც მას შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა უტარდება.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა – ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„ეჭვიანობის გამო ყოფილი ცოლი დაჭრა“

პოლიციამ მ.ბ. დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული მ.ბ., ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს, ეჭვიანობის ნიადაგზე, ყოფილ მეუღლეს, 1970 წელს დაბადებულ ლ.გ.-ს, ცივი იარაღით სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდება.

სამართალდამცველებმა მ.ბ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებულ განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

მერსედესი მოსრიალდა და ბოძს შეეჯახა

გმირთა მოედანზე 1 ადამიანი დაიღუპა

5 ოქტომბერს თბილისში, გმირთა მოედანზე, ზოოპარკის ტერიტორიასთან, ავარია მოხდა. მერსედესის მძღოლმა, სავარაუდოდ, საჭე ვერ დაიმორჩილა, მოსრიალდა და ბოძს შეეჯახა.

არსებული ინფორმაციით, მანქანაში 3 მგზავრი იმყოფებოდა. მათგან ერთი ადგილზე დაიღუპა, ორი კი დაზიანებებით ალადაშვილის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს.

ადგილზე რამდენიმე სასწრაფო-სამედიცინო დახმარება იყო მობილიზებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყეს.

„ზურაბ ბექაურის გამო თვითმკვლელობა ვცადე“

მეჭიაურის მძღოლი პოლიციამ დაკითხა

საგამოძიებო უწყებაში თიანეთის მერ თამაზ მეჭიაურის მძღოლი დაკითხეს, რომელმაც 18 სექტემბერს თვითმკვლელობა ცადა. გიორგი ხუმარაშვილის თქმით, საქმის მთავარი ფიგურანტი თიანეთის საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ ბექაურია, რომელიც მასზე ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძალადობდა.

– ეს იყო ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომელიც გრძელდებოდა მთელი წლის განმავლობაში. ბექაური მემუქრებოდა კიდეც და მეუბნებოდა, რა მომივიდოდა მეჭიაურის წასვლის შემდეგ. მთხოვდა ინფორმაციას, თუ სად გადაადგილდებოდა ბატონი თამაზი, რას ვაკეთებდით და რას ვგეგმავდით სამომავლოდ. მიმიყვანა იმ ზომამდე, რომ თვითმკვლელობა ვცადე, – ამბობს გიორგი ხუმარაშვილი.

თავის მხრივ, ხუმარაშვილის ადვოკატი გელა ჩივაძე გამოძიებისგან სწორ სამართლებრივ შეფასებებს ელოდება. მას იმედი აქვს, რომ დამნაშავე აუცილებლად დაისჯება.

ცნობისთვის, გიორგი ხუმარაშვილის ჩვენებების შედეგად გამოძიებამ, შესაძლოა, საქმის კვალიფიკაცია შეცვალოს და დამნაშავეს ბრალი ძალადობის მუხლით წაუყენოს. ამჟამად კი საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

შეგახსენებთ, რომ თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ 22 წლის გიორგი ხუმარაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო. კომიდან ის 23 სექტემბერს გამოვიდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ ISO 21001:2018 ხარისხის მართვის სერტიფიკატი მიიღო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის – ISO 21001:2018 ხარისხის მართვის სერტიფიკატი მიიღო. ISO 21001:2018 კატეგორიის სერტიფიკატი საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ვრცელდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისთვის სერტიფიკატის მიღების პროცესი განხორციელდა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის – „ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ხელშეწყობა“ – დაფინანსებითა და მასერტიფიცირებელი ორგანოს – „ბიურო ვერიტას ჯორჯია“ ჩართულობით.

ISO 21001:2018 წარმოადგენს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის უახლეს გამოცემას საგანმანათლებლო ორგანიზაციების მენეჯმენტის სისტემების რეგულაციისათვის. აღნიშნული სტანდარტი ორიენტირებულია საგანმანათლებლო ორგანიზაციების მენეჯმენტის სისტემის გაძლიერებაზე, მათი მომსახურებისა და პროდუქტების ხარისხის ამაღლებაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია ერთადერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელსაც სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO 21001:2018 სერტიფიკატი გააჩნია.

ბიშკეკში დემონსტრანტებმა მთავრობის შენობა დაიკავეს

ცესკომ არჩევნების შედეგები ბათილად ცნო

ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეებმა მთავრობის შენობა დაიკავეს,

– დემონსტრანტებმა მთავრობის შენობა დაიკავეს და იქ არავის უშვებენ, – განაცხადა მედიასთან საუბარში ყირგიზეთის მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენელმა.

ყირგიზეთში საპროტესტო აქციები ორშაბათ დილიდან მიმდინარეობს. დემონსტრანტები არჩევნების შედეგებს აპროტესტებენ, რომლის შედეგადაც 7%-იანი ბარიერის გადალახვა 16 პარტიიდან მხოლოდ ოთხმა, პრეზიდენტ სოორონბაი ჯეინბეკოვთან დაახლოებულმა პარტიებმა შეძლეს. აქციის მონაწილეები შედეგების გაუქმებასა და არჩევნების ხელახლა დანიშვნას მოითხოვენ.

5 ოქტომბერს პოლიციამ აქციის დასაშლელად წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. დაშლის მიუხედავად, მოქალაქეები პროტესტის გამოსახატავად ხელახლა შეიკრიბნენ. დემონსტრანტები პარლამენტსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შეიჭრნენ, მოგვიანებით კი ქვეყნის ექსპრეზიდენტი ალმაზბეკ ატამბაევი ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო კომიტეტის დაკავების ცენტრიდან გათავისუფლეს.

აქციების დროს 1 ადამიანი დაიღუპა და 590 დაშავდა.

ყირგიზეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპარლამენტო არჩევნების შედეგები ბათილად ცნო.

ამის შესახებ კომისიის წევრმა გულნარა ჯურაბაევამ განაცხადა.

„ცესკო-მ 12 ხმით არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის გადაწყვეტილება მიიღო“, – წერს გულნარა ჯურაბაევა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“.

ნავალნის სისხლში „ნოვიჩოკის“ კვალი აღმოჩნდა

ალექსეი ნავალნის ორგანიზმიდან აღებული სისხლის ნიმუშში ნერვული აგენტის, „ნოვიჩოკის“ კვალი აღმოჩნდა.

ამის შესახებ „ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

„ეჭვი არ არის, ალექსეი ნავალნის მოსაწამლად ნერვული აგენტი „ნოვიჩოკი“ გამოიყენეს. აკრძალული ქიმიური იარაღის ნებისმიერი გამოყენება დიდი შეშფოთების საგანია“, – წერს „ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია“ ბრიტანეთის დელეგაციის „ტვიტერის“ გვერდზე.

ეს ნიშნავს, რომ „ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია“ ადასტურებს გერმანიის მთავრობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ალექსეი ნავალნი „ნოვიჩოკის“ ტიპის ნერვული აგენტითაა მოწამლული.

ალექსეი ნავალნი 20 აგვისტოს ომსკის კლინიკაში მას შემდეგ მოათავსეს, რაც თვითმფრინავში თავი შეუძლოდ იგრძნო და გონება დაკარგა. ის 22 აგვისტოს, ახლობლების მოთხოვნით, ბერლინის კლინიკაში გადაიყვანეს.

ტრანსპორტირებიდან რამდენიმე დღეში გერმანიის მთავრობამ განაცხადა, რომ ნავალნი „ნოვიჩოკის“ ტიპის ნერვული აგენტითაა მოწამლული. დასავლეთის ქვეყნების მთავრობები რუსეთს ნავალნის საქმის გამჭვირვალედ და ობიექტურად გამოძიებისკენ მოუწოდებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სანქციების დაწესებით ემუქრებიან.

მოსკოვი აღნიშნულ საქმესთან კავშირს უარყოფს და ნავალნის მოწამვლის ფაქტს ეჭვქვეშ აყენებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მეგან მარკლმა სასამართლო წააგო

ბრიტანეთის პრინც ჰარის მეუღლეს, სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლს ტაბლოიდისთვის The Mail on Sunday, რომელიც მან დევნაში დაადანაშაულა, იურიდიული ხარჯების ანაზღაურება მოუწევს.

საქმის სასამართლო განხილვის მეორე რაუნდში მეგან მარკლმა მარცხი განიცადა. მისი პროტესტის მიუხედავად, საქმეს მოპასუხის არგუმენტებს დაურთავენ, რომელიც ომიდ სკობისა და კეროლინ დიურანის ბიოგრაფიულ წიგნ „თავისუფლების მოპოვებას“ ეხება. გამოცემის ადვოკატები ამტკიცებდნენ, რომ ის მისი მონაწილეობით დაიწერა, ხოლო მარკლი და წიგნის ავტორები ამტკიცებდნენ, რომ ასე არ იყო.

ლონდონის უმაღლესმა სასამართლომ სასექსის ჰერცოგინია დაავალდებულა არა მხოლოდ საკუთარი სასამართლო ხარჯების ანაზღაურება, რომელმაც 139 ათასი ფუნტი სტერლინგი შეადგინა, არამედ მისი ოპონენტისაც, რომელიც 39 ათასი ფუნტი სტერლინგია.

ზემოთ აღნიშნული წიგნი მიმდინარე წლის აგვისტოში გამოვიდა და ის პრინც ჰარისა და მეგან მარკლის დაქორწინების ისტორიას შეეხება.

მუსიკოსს სიმღერის გამო სიკვდილი მიუსაჯეს

ნიგერიის ქალაქ კანოს მკვიდრს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს იმის გამო, რომ ჩატში გახსნილ ჯგუფში ღვთისმგმობი სიმღერა გამოაქვეყნა.

22 წლის მუსიკოსმა იახაია შარიფ-ამინმა სასიკვდილო განაჩენი მიიღო სიმღერისთვის, რომელშიც ის უხამსად მოიხსენიებს მუჰამედს – ალაჰის მოციქულს. საქმის პირველ სასამართლო განხილვაზე ბრალდებულმა, რომელსაც იმ დროს ადვოკატი არ ჰყავდა, საკუთარი დანაშაული აღიარა. მოგვიანებით მან განაცხადა, რომ შეცდომა დაუშვა.

საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციის ნიგერიელმა დირექტორმა ოსაი ოჯიგომ სასამართლო პროცესის სამართლიანობასა და შემდგომ წაყენებულ ბრალდებაში ეჭვი შეიტანა. პეტიციას, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას განაჩენის გაუქმებისკენ მოუწოდებს, ათეულათასობით ადამიანმა მოაწერა ხელი.

ამის მიუხედავად, შტატის გუბერნატორი აბდულახი უმარ განდუჯე, როგორც კი აპელაციის პროცესი დასრულდება, სასიკვდილო განაჩენზე ხელის მოწერას აპირებს.

– მე მას ხელს უყოყმანოდ მოვაწერ, – აცხადებს შტატის გუბერნატორი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ქართული ცეკვის მემატიანე დავით წულუკიძე გარდაიცვალა

ქართული ცეკვის ქომაგი და მემატიანე, ღირსების ორდენის კავალერი დავით წულუკიძე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია ანსამბლ „მეტეხის“ დამაარსებელმა“ გელოდი ფოცხიშვილმა გაავრცელა:

– ქართულმა საცეკვაო ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი დიდი მეგობარი, ჟურნალისტი, მემატიანე, ქართული ცეკვის ქომაგი, ღირსების ორდენის კავალერი, ბატონი დავით წულუკიძე. ვუსამძიმრებთ და თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს მის სულს.

აკაკი წერეთლის იუბილეს ჭიათურის თეატრი პრემიერას უძღვნის

ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის თეატრი ახალი, 126-ე თეატრალური სეზონის გახსნას პოეტისა და მწერლის აკაკი წერეთლის 180 წლის იუბილეს უძღვნის.

სიმბოლურად თეატრმა სეზონის გახსნა პოეტის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი პიესით „რაც არ იწვის, არ ანათებს“ გადაწყვიტა. საპრემიერო ჩვენება სხვიტორში, აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის ეზოში დაიგეგმა.

სპექტაკლი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა მამუკა ცერცვაძემ დადგა, მხატვრობა ბარბარა ასლამაზს ეკუთვნის, მუსიკალური გაფორმება კი – კომპოზიტორ ბეჟო ამირანაშვილს.

აკაკი წერეთლის იუბილესადმი მიძღვნილ წარმოდგენაში მონაწილეობენ გიორგი ჩაჩანიძე, კოტე კახიშვილი, ლიკა კეველიშვილი, აჩიკო ხვედელიძე, სოფო გოგოლაძე, გელა მოდებაძე, გოჩა აბაშიძე, ამირან ნასყიდაშვილი, გია კენჭოშვილი, ანზორ ცაბაძე, თამუნა ჯაჯანაშვილი და სოფო ლეთოდიანი.

ლიტერატურული პრემია „ლიტერა 2020“-ის გამარჯვებულები ცნობილია

ლიტერატურული პრემია „ლიტერა“ წელს მეხუთედ გაიმართა და გამარჯვებულები დაჯილდოვა.

გამარჯვებულები ექვს ნომინაციაში გამოვლინდნენ. 126 საკონკურსო განაცხადიდან მოკლე სიაში 38 წიგნი მოხვდა, „ლიტერა 2020“-ის გამარჯვებულები კი გახდნენ:

წლის საუკეთესო წიგნის დიზაინის ნომინაციაში გაიმარჯვა თინათინ ჩხიკვიშვილმა ჯანა ამირეჯიბის წიგნისთვის „მე – ნამდვილი კოკოშა“.

ნომინაციაში **წლის საუკეთესო დებიუტი** გამარჯვებულია ნინი ელიაშვილი „წერტილის შემდეგ“.

წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზა – გიორგი მაისურაძე „სხვა ენა“.

წლის საუკეთესო პოეტური კრებული – შოთა იათაშვილი „XXI საუკუნის დასაწყისის პოეტი“.

წლის საუკეთესო პროზაული კრებული – ეკა ქევანიშვილი „არაფერი დედაჩემის შესახებ“.

წლის საუკეთესო რომანი – ირაკლი სამსონაძე „ქელეხი-ქორწილი“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

მანჩესტერი პოჩეტინოს მიუბრუნდა

თუ ბრიტანულ მედიას ვენდობით, მანჩესტერ იუნაიტედის ხელმძღვანელები ოლე გუნარ სულშერს გაშვებას უპირებენ და ახალ დამრიგებელს ეძებენ. ცხადია, ეს გადაწყვეტილება ტოტენჰემთან 1:6 მარცხის შემდეგ იქნა მიღებული.

აი, მის შემცვლელად კი სწორედ ტოტენჰემის ყოფილი მწვრთნელი მაურისიო პოჩეტინო განიხილება. არგენტინელი სპეციალისტის მთავარ მწვრთნელად დანიშვნა მანჩესტერელებს ადრეც სურდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ. ბოლოდროინდელი წარუმატებლობის შემდეგ კი მოლაპარაკებები განაახლეს.

პოჩეტინო რომ აქამდე უმუშევარია, ეგ ცალკე თემაა, რადგან არცთუ ურიგო სპეციალისტია. არგენტინელმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია ევროტურნირებზე, სადაც მის მიერ გაწვრთნილმა ტოტენჰემმა 2019 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალი ითამაშა და ლივერპულთან დამარცხდა.

მაურისიოს არც პრემიერლიგაში მუშაობის გამოცდილების ნაკლებობა აქვს – ტოტენჰემის მთავარი მწვრთნელი 2014-19 წლებში იყო.

კიეზა ტიფოზებმა გალანძღეს

ტურინის იუვენტუსმა ფიორენტინასთან ფედერიკო კიეზას ტრანსფერზე შეთანხმებას მიაღწია. ფლორენციული გუნდის შემტევი ტურინში 2-წლიანი არენდით იასპარეზებს, რომელიც „ბებერ ქალბატონს“ 10 მილიონი ევრო დაუჯდება.

იუვე 3 მილიონს 2020-21 სეზონში გადაიხდის, ხოლო 7 მილიონს – 2021-22-ში. იმ შემთხვევაში, თუ ფედერიკო გარკვეულ სპორტულ მიღწევებს უზრუნველყოფს, კლუბს დაეკისრება ვალდებულება, მისი უფლებები 2021-22 წლებში 40 მილიონად გამოისყიდოს, თუმცა ეს ციფრი, შესაძლოა, დამატებით 10 მილიონით გაიზარდოს. ეს ისევ და ისევ სპორტულ შედეგებზე იქნება დამოკიდებული.

ცნობილია, რომ იუვესა და ფიორენტინას შორის საკმაოდ ცუდი დამოკიდებულებაა და კიეზას „ბებერ ქალბატონში“ ტრანსფერის შემდეგ „ვიოლას“ გულშემატკივრები თავიანთი გუნდის ყოფილ შემტევზე გაბრაზდნენ.

კლინიკაში სამედიცინო შემოწმების გასავლელად მიმავალ 22 წლის ფეხბურთელს ფანებმა კლოუნი და მოღალატე ეძახეს. ამის გარდა, მის მიმართ კიდევ უფრო მძიმე ფორმის სალანძღავი სიტყვებიც გამოიყენეს.

კიეზამდე ფიორენტინადან იუვენტუსში ხმაურიანი ამბების ფონზე რობერტო ბაჯო, ფელიპე მელო, ნეტუ და ფედერიკო ბერნარდესკი გადავიდნენ.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ბრიტანელი მილიონერი რეკორდის დამყარებას შეეწირა

ბრიტანელი მილიონერი, ფიტნესკომპანია Maximuscle-ს დამფუძნებელი ზეფ აიზენბერგი ხმელეთზე სისწრაფის რეკორდის დამყარების დროს დაიღუპა.

უბედური შემთხვევა იორკის მახლობლად მდებარე ელვინგტონის აეროდრომზე მოხდა, სადაც 2006 წელს ავარიაში გადაცემა Top Gear-ის ყოფილი წამყვანი რიჩარდ ჰამონდი მოყვა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აიზენბერგი ბრიტანეთის რეკორდის მოხსნას ავტომობილ პორშე 911 ტურბო ს-ით აპირებდა, მაგრამ მანქანის მართვას თავი ვეღარ გაართვა. შემთხვევის ადგილზე მივიდნენ სასწრაფო დახმარების ბრიგადები, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. 47 წლის ბიზნესმენს ცოლი და ორი შვილი დარჩა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საქართველო ვარჯიშობს, ბელარუსი მოდის

სულ უფრო ცოტა დრო რჩება ერთა ლიგის დ დივიზიონის ფლეი ოფის მატჩამდე, რომელშიც საქართველოს ნაკრები ბელარუსს უმასპინძლებს. ეს მატჩი პარალელურად ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ნახევარფინალია. ვლადიმირ ვაისის გუნდმა უკვე რამდენიმე ვარჯიშის გამართვა მოასწრო.

თავდაპირველად საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის თბილისის ზღვის ბაზაზე ნაკრებმა არასრული შემადგენლობით ივარჯიშა. საწვრთნელ პროცესში 20 ფეხბურთელი მონაწილეობდა. ფეხბურთელები, რომლებმაც საკლუბო მატჩები კვირას გამართეს და ასევე ის მოთამაშეები, რომლებიც თბილისში მოგვიანებით ჩამოვიდნენ, ქვეყანაში არსებული რეგულაციების შესაბამისად, ვარჯიშს 6 ოქტომბრიდან დაიწყებენ.

საკვალიფიკაციო ეტაპის ფლეი ოფის ნახევარფინალისა და ერთა ლიგის უახლოეს 2 მატჩში გამოძახებული ყველა ფეხბურთელი უკვე თბილისში იმყოფება. მათ შორისაა დავით ხოჭოლავაც, რომლის ჩამოსვლის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ იყო, რადგან დონეცკის შახტარში კორონავირუსი დადგინდა. თუმცა ჩვენებურმა ტესტირება გაიარა და პასუხი უარყოფითია.

ხოჭოლავას გარდა, საწვრთნელ პროცესს გვიან შეუერთდნენ გიორგი მაკარიძე, ლაშა დვალი, სოლომონ კვერკველია, თორნიკე ოქრიაშვილი, ვაკო გვილია, გიორგი ჩაკვეტაძე, ოთარ კიტეიშვილი და ნიკა კაჭარავა.

ბელარუსთან მატჩამდე ეროვნული ნაკრები ბოლო ვარჯიშს შეხვედრის მასპინძელ „დინამო არენაზე“ დღეს ჩაატარებს.

დღესვე ჩამოვა საქართველოში ბელარუსის ნაკრები, რომლის მთავარმა მწვრთნელმა მიხეილ მარხელმა საქართველოში გამოფრენამდე მცირე კომენტარი გააკეთა.

მიხაილ მარხელი:

– მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასეთი თამაში, ალბათ, არ მქონია. ბუნებრივია, რომ გარკვეული ღელვაც ახლავს. თუმცა, მგონია, რომ მზადების პროცესში ყველაფერი დალაგდება. უპირველესად, გამოცდილი ბიჭების იმედი მაქვს. მჯერა, ისინი მოახერხებენ, ახალგაზრდებს, რომლებსაც თბილისში მოუწევთ თამაში, თავდაჯერებულობა შემატონ...

საქართველო კარგი, ევროპული დონის ნაკრებია. მათ დონეს ალბანეთის ეროვნული გუნდისას შევადარებდი, რომელთაც სექტემბერში ვეთამაშეთ. დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავთ, სადაც რამდენიმე კაშკაშა ვარსკვლავი თამაშობს. მათი ფეხბურთელები საკუთარ კლუბებში ბევრს თამაშობენ. აშკარაა, ძალიან რთული თამაში გვექნება...

მათი გუნდიდან პირადად გიორგი ნავალოვსკი და ვაკო გვილია ვიცი. ისინი ბელარუსის ჩემპიონატში თამაშობდნენ, მაღალი კლასის ბიჭები არიან, მაგრამ უკვე დიდი ხანია, ჩვენი ჩემპიონატიდან გადავიდნენ და ბევრს ვერაფერს ვიტყვი მათზე...

აბსოლუტურად ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ საქართველოსთან დაპირისპირება საერთოდ ჩრდილავს ოქტომბრის დანარჩენ 2 შეხვედრას. ბელარუსის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე გასვლის ასეთი შანსი არასდროს ჰქონია. ჩვენი მთლიანი ძალები მიმართულია ქართველებთან დასაპირისპირებლად...

უმაყურებლო ფეხბურთი არის მკვდარი ფეხბურთი. მაგრამ, სიტუაციიდან გამომდინარე, გამარჯვებისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, თუნდაც ცხვირიდან სისხლი გვდიოდეს. ამ შემთხვევაში ცარიელი სტადიონი და მეტოქის უგულშემატკივროდ ყოფნა ჩვენთვის მისაღებია...

ბელარუსის ნაკრებში 27 ფეხბურთელია გამოძახებული. თბილისში წამოსვლამდე მარხელს გადაწყვეტილი არ ჰქონდა, ვის ჩამოიყვანდა საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაზე ვიდეორეფერი იმუშავებს, რაც საქართველოს ნაკრების ისტორიაში პირველად მოხდება. ვარის ოთახში თურქები იმუშავებენ – აბდულქადირ ბიტიგენი და ჰუსეინ გიოჩეკი.

მატჩსაც თურქ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. მთავარი არბიტრი გამოცდილი ჯიუნეით ჩაქირი იქნება, რომელსაც ბაჰათინ დურანი და თარიქ ონგუნი დაეხმარებიან. მე-4 მსაჯის მოვალეობას კი მეთე კალკავანი შეასრულებს.

43 წლის ჯიუნეით ჩაქირი ძალზე გამოცდილი არბიტრია, რომელიც ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევა და საერთაშორისო მატჩებს 2009 წლიდან ემსახურება. თუმცა საქართველოს ნაკრებთან მისი გზა პირველად გადაიკვეთა. 2007 წელს თურქმა არბიტრმა საქართველოს თასის ფინალი იმსაჯა თბილისის ამერსა და ზესტაფონს შორის (1:0).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

დუდუ დადიანის მემორიალი დღეს იწყება

დუდუ დადიანის 2020 წლის მემორიალში 9 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც 3 ჯგუფში შემდეგნაირად გადანაწილდნენ:

ა ჯგუფი: თსუ, რუსთავი, მგზავრები;

ბ ჯგუფი: ვერა, კაკტუსი, ტიტები;

გ ჯგუფი: ქუთაისი, ოლიმპი, ცხუმ-აფხაზეთი.

გუნდები ჯგუფებში ერთ წრეს ითამაშებენ, რის შემდეგაც პირველ ადგილზე გასულები ნახევარფინალში გავლენ. მეოთხე გუნდი, რომელიც ნახევარფინალს შეავსებს, საუკეთესო მეორეადგილოსანი იქნება. დებულების თანახმად, ერთ ჯგუფში მყოფი გუნდები ნახევარფინალში ერთმანეთს არ შეხვდებიან.

ჯგუფური ეტაპის თამაშები გაიმართება 7, 8 და 9 ოქტომბერს, ნახევარფინალები – 11-ში, ხოლო ფინალი 12 ოქტომბერს არის ჩანიშნული.

კალათბურთის ეროვნული ფედერაცია სეზონს დღეიდან იწყებს. ტრადიციულად, პირველი ტურნირი ტრაგიკულად დაღუპული ვიცეპრეზიდენტის დუდუ დადიანის მემორიალია.

მემორიალის თამაშები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებული სპეციალური რეგულაციების დაცვით თბილისის ახალ ოლიმპიურ სასახლეში ჩატარდება. თამაშებზე მაყურებელი არ დაიშვება და გათვალისწინებული იქნება კორონავირუსის გავრცელების სპეციალური პრევენციული ზომები.

ჩრდილოეთ მაკედონიამ შემადგენლობა გამოაცხადა

ჩრდილოეთ მაკედონიის ნაკრები ევროპირველობის საკვალიფიკაციო ეტაპის ფლეი ოფის მატჩში 8 ოქტომბერს კოსოვოს უმასპინძლებს. სწორედ ამ წყვილში გამარჯვებულს შეხვდება საქართველოსა და ბელარუსს შორის უმჯობესი და ფინალური ეტაპის საგზურს გაითამაშებენ.

გარდა ამისა, ჩრდილოეთ მაკედონიის ნაკრები ჩვენს ჯგუფში ერთა ლიგის ც დივიზიონშია და მათთან 14 ოქტომბერს ვითამაშებთ, მანამდე იგორ ანგელოვსკის გუნდი ესტონეთსაც დაუპირისპირდება.

ამ შეხვედრებისთვის მთავარმა მწვრთნელმა იგორ ანგელოვსკიმ 23 ფეხბურთელი გამოიძახა. სიაში არ არის იტალიური ნაპოლის ნახევარმცველი ელიფ ელმასი, რომელსაც კორონავირუსი დაუდასტურდა.

ანგელოვსკის შერჩეული ფეხბურთელები არიან:

მეკარეები: სტოლე დიმიტროვსკი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი), დამიან შიშკოვსკი (დოკსა, კვიპროსი), დანიელ ბოჟინოვსკი (სილეკსი);

მცველები: სტეფან რისტოვსკი (სპორტინგი, პორტუგალია), ვისარ მუსლიუ (ფეჰერვარი, უნგრეთი), ეზგონ ბეიტულაი (შკენდია), კირე რისტევსკი (უიპეშტი, უნგრეთი), გოიკო ზაიკოვი (შარლერუა, ბელგია), დარკო ველკოვსკი (რიეკა, ხორვატია), კრისტიან ტოშევსკი (ტირანა, ალბანეთი);

ნახევარმცველები: არიან ადემი (დინამო, ხორვატია), ენის ბარდი (ლევანტე, ესპანეთი), სტეფან სპიროვსკი (აეკ, კვიპროსი), ბობან ნიკოლოვი (ფეჰერვარი, უნგრეთი), ეზგან ალიოსკი (ლიდსი, ინგლისი), ტიხომირ კოსტადინოვი (რუჟემბეროკი, სლოვაკეთი), ფერჰან ჰასანი (ჰელსინკი, ფინეთი);

თავდამსხმელები: გორან პანდევი (ჯენოა, იტალია), ილია ნესტოროვსკი (უდინეზე, იტალია), ალექსანდარ ტრაიკოვსკი (მალიორკა, ესპანეთი), ივან ტრიჩკოვსკი (აეკ, კვიპროსი), ვლატკო სტოიანოვსკი (შამბლი, საფრანგეთი), კრსტე ველკოვსკი (სარაევო, ბოსნია).

კვარაცხელია რუსებს აშინებს

ყაზანის რუბინის ქართველი ფეხბურთელის ხვიჩა კვარაცხელიას მიმართ ინტერესი არ ნელდება. 19 წლის ქართველი ყაზანური პუბლიკის საყვარელ ფეხბურთელად იქცა. თუმცა, რატომ მარტო პუბლიკის – არც იქაური მედია აკლებს ყურადღებას და ჩვენებურს დადებითად ახასიათებს.

ერთ-ერთმა ვებგვერდმა მთლიანად გუნდზე ისაუბრა, მაგრამ ჩვენებურს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო და ჩვენც მხოლოდ იმ ნაწილს შემოგთავაზებთ.

– მოდით, თავიდანვე ვთქვათ – ეს ძალიან საინტერესო იყო. უკან მოვიტოვეთ 10 ტური და შეგვიძლია, კონსტატირება მოვახდინოთ, რომ რუბინს საკუთარი სახე ჩამოუყალიბდა. ლეონიდ სლუცკი რომან შარონოვის მემკვიდრეობაში გაერკვა და შემტევი სტილის გუნდის მშენებლობას შეუდგა. ისევე, როგორც პრემიერლიგის, რუბინის პრობლემაც გადაჭარბებული მოლოდინია.

რა თქმა უნდა, ცალკე აღვნიშნავთ ხვიჩას ფაქტორს. ახლა აბსოლუტურად ყველას ესმის, ვინაა ამ გუნდში ლიდერი და მთავარი ვარსკვლავი. შესაძლოა, ვიღაცას ბოლო მომენტამდე სურდა, ყურადღება ინ ბომზე, მაკაროვსზე ან ბაკაევზე გაემახვილებინა, მაგრამ კვარაცხელია არაჩვეულებრივია. დიახ, მისი მოქმედებები ხშირად დაბოლოების გარეშეა, დიახ, შეიძლება, ცოტა ძუნწია და კიდევ მრავალი წვრილი „რაღაცები“, მაგრამ მრავალ სუპერეფექტს იძლევა. ხვიჩა რუბინის თამაშებზე ბილეთებს ყიდის და განსხვავებას ქმნის! ეს ქართველი ბიჭუნა უკვე მარტო იგებს მატჩებს და ეს გვაშინებს.

როდესაც ხვიჩა ფლანგზე ბურთს იღებს, სტადიონზე აბსოლუტურად ყველა მაყურებელი თავისი ადგილიდან რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინში წამოდგება. მისი დრიბლინგი უკვე პრემიერლიგის საფირმო ნიშნად იქცა, როგორც ერემენკოს დარტყმები, ფერნანდესის გარღვევები და ბელენოვის მოგერიებული პენალტები. ხვიჩა, უბრალოდ, ხედავს მიზანს და მისკენ მიისწრაფვის – იქ მცველები მხოლოდ გარნირია. რა თქმა უნდა, მეტოქეები უკვე არჩევენ მის თამაშს და ხაფანგს უგებენ, მაგრამ ის მაინც მოედანზე ყველაზე სახიფათოდ რჩება.

თვით ისეთი იდეური ტაქტიკოსი, როგორიც ანდრეი ტალალაევია, მისი მსხვერპლი შეიქნა. ახმატი რუბინთან შეხვედრისთვის ტაქტიკურად შესანიშნავად მოემზადა. ხვიჩას მონაცვლეობით მეურვეობდნენ, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში კონცენტრაცია მხოლოდ ერთხელ დაკარგეს, ქართველმა კი იმწამსვე დასაჯა! კვარაცხელია გუნდის მთავარი ბრილიანტია და დროა, ხელმძღვანელობა მის მომავალზე დაფიქრდეს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

შედეგები

5 ოქტომბერი
ფეხბურთი

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა
ნიურნბერგი-დარმშტადი 2:3

საბერძნეთი. სუპერლიგა
ლამია-ვოლოსი 1:2

ფინეთი. ვეიკაუსლიგა
კუუპიო-ილვესი 1:1

ჩოგბურთი

ხოლან გაჰოსი

ჯაცები
ფუჩოვიჩი-რუბლიოვი .. 7:6,5:7,4:6,6:7
დიმიტროვი-ციციპასი 3:6,6:7,2:6
ჯოკოვიჩი-ხაჩანოვი 6:4,6:3,6:3
კარენო ბუსტა-ალტმაიერი 6:2,7:5,6:2

ქალები
ზიგემუნდი-ბადოსა 7:5,6:2
კვიტოვა-ჩუანი 6:2,6:4
ფერო-კენინი 6:2,2:6,1:6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ონორე დე ბალზაკის მოთხრობა; 2. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 3. ბელგიური ავიაკომპანია; 4. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 5. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე მე-17 საუკუნის ქართველი მხატვარი; 8. ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება სასამართლოში; 12. უღრან ტყეებში ბინადარი ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 13. ზღაპრული სიმდიდრის ქვეყანა; 14. ტროპიკული მცენარეებისგან მიღებული მუქი ლურჯი საღებავი; 16. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი; 18. ყველაზე დიდი ქალაქი ჩინეთში; 20. ღვინის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

თარაზულად: 6. ხმის ჩანაწერების არქივი; 7. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 8. მზის სისტემის პლანეტა; 9. ბრიყვი, გაუზრდელი, უხეში ადამიანი; 10. დონეცკის „შახტარის“ ქართველი ფეხბურთელი; 11. ქუჩაში მოწყობილი სახანძრო ონკანის სვეტი; 15. მოდუღებული წითელი ღვინისგან დამზადებული სასმელი; 17. ქართულ ბალეტ „გორდას“ მუსიკის ავტორი; 19. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 21. ბარსელონის ძველი სახელწოდება; 22. ქალის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 23. უღელტეხილი აჭარაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კოდაკი; 2. ლენი; 3. ალგოლოგია; 4. კუსტო; 5. ღანძილი; 8. ნადუღი; 9. თითლიბაზი; 12. სუდოკუ; 14. ხახული; 16. იბიცა.

თარაზულად: 1. კონკულსია; 6. კლაუზულა; 7. დეგნანი; 9. თაგორი; 10. კობი; 11. ბურნუთი; 13. ხიხვი; 15. კუმისი; 17. ხარფუხი; 18. ყოჩები; 19. პაულსი; 20. ლაზიერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. წაღვერი; 2. ხამურაბი; 3. გლაქსო; 4. ყბედი; 5. ჯაყელები; 8. ფოლკლორი; 12. მური; 13. დიფუზორი; 14. ტიბეტი; 16. ბაჯაღლო; 18. კოვბოი; 20. ერბო.

თარაზულად: 6. მაჭახელა; 7. კოლუმბია; 8. ფატუმი; 9. ბერიო; 10. მამისონი; 11. ვალმარტი; 15. ჰიპერტონია; 17. ფიქცია; 19. ტელევიზია; 21. კოსტავა; 22. ციტოლოგია; 23. ბოღლიწო.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2017

ევრო — 3.7623

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1452

100 რუსული რუბლი — 4.0790

ამინდის პროგნოზი 7 ოქტომბრისათვის

ტომას პარტი კარიერას არსენალში გააგრძელებს

მადრიდის ატლეტიკოს განელი ნახევარმცველი ტომას პარტი კარიერას ლონდონის არსენალში გააგრძელებს.

არსენალმა ამ ტრანსფერში 50 მილიონი ევრო გადაიხადა.

ტომას პარტი ესპანეთის ჩემპიონატში თავის პოზიციაზე ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება, ამიტომ მისი არსენალში გადასვლა, სავარაუდოდ, ლონდონურ გუნდს გააძლიერებს.

პარტიმ არსენალთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და მისი წლიური ანაზღაურება 7 მილიონი ევრო იქნება.

სოლსკიაერი: „ედისონ კავანი აუცილებლად გაგვაძლიერებს“

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა ახალ შენაძენზე, ედისონ კავანიზე ისაუბრა და თქვა, რომ ურუგვაელი ფორვარდი მის გუნდს აუცილებლად გააძლიერებს.

სოლსკიაერის აზრით, კავანი მანჩესტერის შეტევას უფრო მრავალფეროვანს გახდის:

– კავანი ძალიან გამოცდილი და ძლიერი ფეხბურთელია, ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ეს ტრანსფერი ჩვენთვის მხოლოდ კარგს მოიტანს. შეტევაში გაცილებით მეტი ვარიანტი გვექნება და ეს შედეგზე კარგად აისახება.

დეშამი: „გრიზმანი ბარსელონაში თავის პოზიციაზე არ თამაშობს“

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დიდიე დეშამმა ანტუან გრიზმანზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ბარსელონაში თავის საყვარელ პოზიციაზე არ თამაშობს და ამიტომ ვერ ახერხებს თავისი პოტენციალის ბოლომდე გამოყენებას:

– ვიცი, რომ ანტუანს უკეთ შეუძლია თამაში, ვიდრე ამას ბარსელონაში აკეთებს. სავარაუდოდ, მას ფლანგზე თამაში არ სიამოვნებს და ნაკრებში უფრო ცენტრში თამაშობს, სადაც გაცილებით პროდუქტიულია. იმედი მაქვს, გრიზმანი ბარსელონაში თავის თავს იპოვის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

7 ოქტომბრისათვის



ვერძი – ნეგატიური ტენდენციების მატარებელი დღეა. ემოციები გონიერებას აჭარბებს. ერიდეთ ხმამაღალ ლაპარაკსა და საქმის გარჩევებს. **კურო** – დაფიქრდით, გადაწყვეტილების მიღებისას არ აჩქარდეთ. მთლიანობაში, კეთილისმყოფელი პერიოდია. **ტყუპები** – პარტნიორი თქვენს მოტყუებას აპირებს. ეს კი კონფლიქტს გამოიწვევს. ძალიან დიდი შორსმჭვრეტელობა და სიდინჯე გმართებთ. **კირჩხიბი** – ცხოვრებისეულ პრობლემებს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. ყველაფერი დროებითია და მალე გამოსწორდება. **ლომი** – პოზიტიური დღეა. ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **ქალწული** – მოსალოდნელია იმედგაცრუება. იოლად ნურავის მიენდობით. დაეყრდენით საკუთარ ინტუიციას. **სასწორი** – მხოლოდ ცივი გონებით იმოქმედეთ. ემოციების აყოლა კარგს არაფერს მოგიტანთ. **ღრიანცელი** – გიუმჯობესდებათ ურთიერთობა ახლობლებთან და ნათესავებთან. ინტიმურ სფეროში სასიამოვნო სიახლე გელით. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კამათს. სხვის საქმეში არ ჩაერიოთ. ფიზიკური დატვირთვა მოგიხდებათ და გაგახალისებთ. **თხის რქა** – ფინანსებს გაუფრთხილდით. საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად იცით. **მერწყული** – ინტუიცია გიმახვილდებათ. დღეს თქვენს მოტყუებას ვერავინ შეძლებს. გიმართლებთ პარტნიორულ ურთიერთობებში. **თევზები** – საინტერესო მოვლენებით აღსავსე პერიოდია. რეკომენდებულია შემოქმედებითი შეხვედრები.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

მამაკაცმა ქურთუკი შეარჩია. გამყიდველი ეუბნება:
– თქვენზე 200 ლარია.
– კი მაგრამ, 100 ლარი რომ აწერია?
– კი, აწერია, თუმცა სინამდვილეში 200 ღირს.
– კარგი, აი, გამომართვით.
– ბოდიში, მაგრამ თქვენ მხოლოდ 100 ლარი მომეცით.
– მართალია, 100 ლარი აწერია, მაგრამ სინამდვილეში 200-ლარიანია.

●●●

ბავშვი დედას ეუბნება:
– დედა, მალე სკოლაში მშობლების კრება იქნება და მინდა, წინასწარ გაცნობო, რომ ჩემზე საინფორმაციო შეტევა მზადდება.

●●●

ავტობუსში ორი გოგონა სკამზე ზის. გაჩერებაზე ამოსული ბიჭი გოგონებს ეუბნება:
– ვაიმე, როგორი სიმპათიური გოგონები არიან.
– კარგი რა, რა სიმპათიურები, – უპასუხეს დამორცხვებულმა გოგონებმა.
– კარგი, კარგი, ვიხუმრე...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:
– რა შეიძლება იყოს კარგი სამგლოვიარო მარშში?
– როგორ თუ რა? ყველაფერი შესანიშნავადაა, სანამ მისი მოსმენა შემიძლია!

●●●

მამაკაცი მაღაზიაში გამყიდველს ეუბნება:
– თუ შეიძლება, მომეცით ერთი ბოთლი არაყი.
– დიახ, კიდევ?
– ერთი ბოთლი ღვინო და შოკოლადი.
– დიახ, კიდევ?
– პრეზერვატივები.
– პრეზერვატივები არ გვაქვს.
– მაშინ არც ეგენი მჭირდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



ზურა ბალანჩივაძე საავადმყოფოში გადაიყვანეს

ტელეწამყვანი ზურა ბალანჩივაძე, რომელსაც კოვიდ 19 დაუდასტურდა, საავადმყოფოში გადაიყვანეს. ის ამჟამად წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის კლინიკურ საავადმყოფოში იმყოფება:

– ვინაიდან ვირუსი ურტყამს ფილტვებს, თავის დაზღვევის მიზნით გადავაყვანინე თავი საავადმყოფოში. სისხლის ანალიზი, წნევა, სიცხე, პულსი, კარდიოგრამა, კომპიუტერული ტომოგრაფია, სისხლში ჟანგბადის შემცველობა. სიმპტომები უცვლელია: სიცხე პერიოდულად და ყელის ჩახეხვა.

ამ ეტაპზე პნევმონია არ არის, თუმცა ვირუსს გამოვლენიდან 5-9 დღეში ახასიათებს გამწვავება და, თუ რამეა, ბარემ აქ გადავიტან. თუმცა, შეიძლება, საერთოდაც არ იყოს ეგრე. ასე რომ, ორივესთვის მზად უნდა იყო.

მთავარია, რომ მაინც გამოძვრები და ამ შედეგზე ფიქრი ძალიანაც დიდი სტიმულია. სხვათა შორის, ეს ფსიქოლოგიური ხრიკი ძალიან ბევრჯერ დამხმარებია, მაგალითად, სამხედრო სამსახურის პერიოდში. იფიქრეთ მომავალსა და იმაზე, თუ როგორ ღიმილით მოიგონებთ ამ ყველაფერს მერე. ჯანმრთელობა ყველას.

ავთო აბესლამიძეს კორონავირუსი დაუდასტურდა

„იქს ფაქტორის“ ერთ-ერთი სეზონის გამარჯვებულს, მომღერალ ავთო აბესლამიძეს კორონავირუსი დაუდასტურდა.

ინფორმაცია მომღერალმა თავად გაავრცელა:

– კოვიდ 19 მომიბრძანდა. იმედია, მშვიდობით გავაცილებ.

მემე ჟორდანია დედას ოცნების ასრულებაში დაეხმარება

მომღერალი მემე ჟორდანია დედას ოცნების ასრულებაში დაეხმარება. მემემ და მისმა დამ გადაწყვიტეს, დედის საოცნებო საკონდიტროს გახსნისთვის ყველაფერი გააკეთონ:

– ვინც მიცნობთ, ალბათ, ბევრმა იცით დედაჩემის შესახებ და, ალბათ, ისიც გეცოდინებათ, თუ როგორი განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს.

კარანტინის პერიოდში, სამწუხაროდ, დედიკოს ძალიან რთული დრო დაუდგა, ისევე, როგორც ბევრ ჩვენგანს.

ამიტომ მე და ჩემმა დამ გადავწყვიტეთ, დავეხმაროთ მას, რომ თავისი ყველაზე დიდი ოცნება აისრულოს – გახსნას საკუთარი საკონდიტრო.

ამას ჩვენ მარტო, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებთ. ამიტომ მცირედი თანხის ჩარიცხვის მსურველთათვის გავხსენით ონლაინანგარიში.

თუ გექნებათ რამის საშუალება, დაგვეხმარეთ, რომ დედიკოს ავუსრულოთ ოცნება და ვნახოთ ბედნიერი!

ჩვენ კი პირობას გაძლევთ, რომ ის ნაირ-ნაირი ტკბილეულობით გაგიმასპინძლდებათ და ამას უდიდესი სიამოვნებით გააკეთებს.

„მასტერშეფის“ ოქროსწინსაფრიანი სოლომონი პირველ შეჯიბრებას კორონავირუსის გამო არ დაესწრო

„მასტერშეფის“ IV სეზონის 12-ეულის წევრი სოლომონი არ ესწრებოდა შოუს პირველ შეჯიბრებას, რაც მაყურებელს შეუმჩნეველი არ დარჩენია. ამის მიზეზი კი გახდა კონკურსანტის აუცილებელი შემოწმება კორონავირუსზე.

როგორც შოუს მესვეურები აღნიშნავენ, საბედნიეროდ, ჩატარებული ტესტების პასუხები უარყოფითია და სოლომონი აგრძელებს ბრძოლას საქართველოს მასტერშეფის წოდებისთვის.

როგორ გაართმევს თავს სოლომონი შემდეგ დავალებას, ამას მაყურებელი კვირას იხილავს.

ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზმა მუშაობა განაახლა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზმა მუშაობა განაახლა. პირველ ეტაპზე დარბაზი სამეცნიერო კვლევებზე მომუშავე პირებს მოემსახურება.

მკვლევართათვის ღიაა საისტორიო ცენტრალური არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივი, თბილისის ცენტრალური არქივი.

მკვლევართა დარბაზში ნებისმიერი მსურველი მხოლოდ წინასწარი დაჯავშნის პრინციპით დაიშვება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 2. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა; 3. ჭადრაკის წინამორბედი, ინდური მაგიდის სათამაშო; 4. კომბინაცია პოკერში; 5. ვენეციური ნავი; 8. სავაჭრო-სასადილო ძველად; 9. ხაშურის ძველი სახელწოდება; 12. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 14. ქართველი ქიმიკოსი, მრეწველი, პოპულარული უალკოჰოლო სასმელების შემქმნელი; 16. საშობაო სიმღერა.

თარაზულად: 1. გარკვეული სისტემით დალაგებული ბარათები, რომლებიც შეიცავს რაიმე სახის ცნობებს, ინფორმაციას; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. ფრანგი ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 9. ზღვის ლაბისებრი ცხოველი; 10. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 11. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 13. აზერბაიჯანული ნაციონალური კერძი; 15. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 17. პატარა ალამი; დროშა; 18. მაღალხარისხოვანი პერგამენტის ქაღალდი; 19. სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური სოფელი; 20. ლეონარდო და ვინჩის შედევრი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა